ფასი 25 კაპ.

№ 14

წელიწადი მეოთხე.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1. ზღვაში, ლექსი, ობოლი მუშისა. 2. ჩემი დღიურიდან, „ვალიკოსი.“ 3. იქნებ, არ გჯერათ, ლექსი, ი. სიხარულიძისა. 4. პირველი დებიუტი, ამბავი, გ. ალისა. 5. მაშინ გიმღერებ, ლექსი, ობოლი მწყესისა, 6. „გზა,“ პიესა, სანდრო გურულისა, 7. ჩემი მოზარე, ლექსი, ა. ხაბულიანისა. 8. კრიტიკა, ხომლელისა. 9. ბიბლიოგრაფია. 10. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამბერისა. 11. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა. 12. რედაქციისგან. 13. რუსული პრესა. 14. აგარაკი ბახმარო, ვასო ჭითავასი. 15. ესკიზი, ნ. ზენობნიელისა. 16. ანგარიში ქარ. საქველ. საზ.

15 სექტემბერი 1916 წ.

ქუთაისი

სტამბა ,,ძმობა'', პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელისა,

ცხოვრება № 14.

15 სექტემბერი 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ზღვაში...

—

... ასე, ჰო, ასე! გასწი, გაკვეთე
ზღვისა ტალღები, ერთგულო ნავო!
ობოლ მებძოლსა არ გყავს მოკეთე,
გარდა ნიჩბისა, ბედ-კრულო თავო!

აწმყოსა ვწყევლი, მომავლით ვცხოვრობ,
მისკენ მიილტვის სწრაფვა სულისა:
მომავალშია საფლავი ტანჯვის,
იმედის წყარო, შვება გულისა...

მივქრი, მიმაფრენს მე ჩემი ნავი,
მიაპობს ტალღებს, მიმოსრიალებს;
ზღვა-კი არ ცხრება, მარად მშფოთავი,
ბგვინავს და ბგვინავს, ლომებ ღრიალებს...

რაღას მრისხანებ, პირ-ქუშო ზღვაო?
ზვირთთა ჩოჩქოლით, რათ იკლაკნები?
ფაფარ-აყრილი, რას იმუქრები?
ველარ გაიგე, რომ არ შევდრკები?! —

აღთქმის კუნძულსა დავეძებ, ზღვაო!
იქ არი ჩემი ბედნიერება;
იქ სხივ-მოსილი ტურფა ასული
ხელ-ფეხ შეკრული ქაჯთ ემონება!..

და, ან დავიხსნი იმ სულის ღმერთსა,
ან დაე, ჩამნთქას შენმა წიაღმა!..
გულს ვერ შემიკრთობს შენი ქუხილი
და ვერ წამიყვანს ლაჩრათ პირ-დაღმა!

ობოლი მუშა.

ჩემი დღიურიდან.*)

ვისაც არ გამოუცთია ლოდინის დამტანჯავი წუთები, მას არ უგძვნია სიყვარულის ძალა... ვისაც არ სმენია მუსიკა, უხმო მუსიკა მოახლოვების ჟამისა, მან არ იცის, თუ რა მძიმეა ლოდინის წუთები, რა შეუბრალებელია წამები, თვით შეუმჩნეველათ მიმფრენი წამებიც-კი... და მე შევძელი ეს ძალა პირველათ, როცა ბაღის ხეივანს გავყევი და ცაცხვების ლანდს ქვეშ ლენას ლოდინს შევუდექი...

აქ მომიახლოვდა პირველი ფიქრი, მწარე და თან ტკბილი ფიქრი და გამახსენდა შემოდგომის ერთი შვენიერი საღამო. მე მაშინ დიდ ქალაქის დიდსა და შვენიერ თეატრში ვიჯექი. სულის წარმტაცი და მომხიბვლელი მუსიკის მელოდიები ატკბობდა იქაურობას და ამშვიდებდა ადამიანის აღბოგებულ ფიქრებს... ღმერთო ჩემო! რა დიდი მანძილია ქალაქის ახმაურებულ, მუდამ მოძრავ ქუჩებსა და ამ ვებერთელა, თვალუწვდელ თეატრს შორის, რომელსაც ავსებს მუსიკის ტკბილი და წყნარი მელოდიები, მიუხედავათ იმისა, რომ ეს თეატრი და ქუჩა ერთმანეთს სულ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე ახლავან. და, როდესაც მუსიკის მელოდიები შეიცვალა ახალ ხმებზე, მე მხოლოთ მაშინ ვიგძენი ვაგნერის ძლიერება და შვენიერება, მაშინ დავინახე მისი სული და სახე, მაშინ დამიდგა წინ ნათლად ის ტანჯვა და ნეტარება, რომელსაც თვით მას აგძნობიებდა საკუთარი შემოქმედება. მელოდია შეწყდა... და გადავიდა Leitmotiv-ზე. გამეორდა მოგონება მელოდიების მუსიკისა და კიდევ ახალ ხმებზე, რამდენიმე ახალ მადულიაციებში გაისმა ხანგძლივი, თითქო მიწის ქვევიდან ამოხეთქილი ნარნარება Leitmotiv ისა... ისევ დაბრუნდა დაუსრულებელი მელოდია, ისევ გაავსო ფართო ზალა სულის წარმტაცმა ხმამ...

და შე გამახსენდა ეს მუსიკა, როცა ბაღის ერთ ჩაბურულ ხეივანში მარტოთ ლოდინში ვითვლიდი წუთებს, როცა მესმოდა შორით, გადაღმიდან ატირებული სკრიპკის ქვითინი და მისი ცრემლები, ვით დილის მონაბერ ნისლიდან გამოფანტული ნამები იქაურობას ეფინებოდა.

მშვიდი და წყნარი ხეივანის დაბურული მიდამოები, ჩაფიქრებული ცაცხვებით მორ-

*) იხ. „ცხოვრება", № 12.

თული არე-მარე, მიმზიდველი-მინაზებული თითოლა სალამს ნიავისგან ფოთოლთა სამეფოსა, თითქო მელოდიების მზგაეს ხმებში გახვეულიყო და მას ყურს უგდებდა ყოველი არსება. არ ვიცი, რომელი მუსიკა უფრო შეგიძლია იგძნო ადამიანმა: უხმო, მხოლოთ მოჩვენებაში წარმოდგენილი, რომელიც თითქო გესმის, მარა მას არსად უკრავენ, რომელსაც გძნობ, მარა მის დამკვრელთ ვერსადა ხედავ, თუ ის მუსიკა, რომელიც გესმის და გატკბობს, ხედავ ხელოვანს, რომელიც თითებით არხევს სიმებს და ატირებს ცრემლებს, აქვითინებს მას, თვისი გულის მწუხარება გადმოაქვს ზევით, შლის მას და საქვეყნოთ ყველას უზიარებს. მე არ ვიცი, რომელი უფრო შვენიერი და ძლიერია ამ ორ მუსიკათა შორის. მე არ ძალმიძს მოვნახო აქ პირველი და მეორე, რათგანც ნამდვილ გძნობას ხარისხები არა აქვს, არ შეიძლება გიყვარდეს და ეტრფოდე ერთს უფრო ძლიერათ და ამავე დროს, ეტრფოდე სხვასაც: მარა უფრო ნაკლებ, ნაკლები გატაცებით. ნამდვილი და ჭეშმარიტი გძნობა ერთია. მე ვიცნობ მას და, როცა მუსიკა მიწვდება გულის სიღმეს, ჩემში დაანთებს იმ ცეცხლს, რომელსაც სიყვარულის შვენიერება ეწოდება.

ნეტა, რათ მომაგონდა ლოდინის დროს ეს მუსიკა, ნეტა, რათ შევადარე ჩემი ლოდინი მელოდიებიდან გადასულ „ლეითმოტივს", რომელიც იგონებს, იმეორებს წარსულ მელოდიებს და, შემდეგ, ახალ ხმებში იკარგება, მათ ნისლათ ეკვრება, როგორც თეთრი ღრუბლების ქულა, გაფანტვის ჟამს, ეკვრება მთების მწვერვალებს, თითქო მათში ინთქება? მარა მე გავიგონე ამ ხეივანში უხმო მუსიკა, მე მომესმა აქ მელოდიები მუსიკისა, რომელსაც არსად არ უკრავდენ და, როცა ამ სიტკბოებას დამირღვევდა ლენას მოლოდინი, როცა მომაგონდებოდა, ან უკეთ, როცა ტკბილ მელოდიებში შეეჭრებოდა ფიქრი მისი მოახლოვებისა, მუსიკის ახალი ხმები იწყებოდა, მეორდებოდა წარსულის მოგონებანი და არე-მარე კვლავ ზეციურ ხმებში ეხვეოდა.

ლენა, შვენიერი და ტურფა ლენა! ის უნდა მოვიდეს აქ ყოველ წუთს, ყოველ წამს შეიძლება გამოჩდეს მისი ლანდი და მომიახლოვდეს მე... მარა არ ვიცი, მოვა, თუ არა ლენა, შეძლებს თუ არა ის სიტყვის ასრულებას!... მე ვგძნობ, რო რაღაც ცვლილება ხდება ჩემში, ჩემს ნერვებში ისადგურებს ახალი ძალა, მარა ვერ მიმხდარვარ ეს ძალა ტანმთელია, თუ ავათმყოფი და სუსტი, უძლური და მშიშარა....

დღემდი—კი ტანმთელი ვიყავი. მარა არა მარტო ფიზიკურათ, არამედ ფიქრითაც, ზრახვითაც. ჩემი ცრემლი არ იყო ცრემლი მწუხარების და უიმედობის, ჩემი ტანჯვა არ იყო ტანჯვა უძლურების და სიმხდალისა. არა. მე ძლიერი ვიყავი, მე მებძოლი ვიყავი...

მე მაგონდება ახლა, თუ ვინ აღზარდა ჩემში ეს მებძოლი სული ,ვინ მიანდერძა ცრემლნარევი კეთილშობილური აშფოთება მოსიყვარულე გულისა. ბავშობისას მე ზღაპრებს მიყვებოდენ საღამოობით და ხშირათ ჩამძინებია დედის კალთაში, ხან მომღიმარი, ახითხითებული ტუჩებით, როცა მესმოდა სასიხარულო და სასაცილო გამარჯვება რომელიმე ზღაპრულ გმირისა. მარა მე მაგონდება ცრემლების მომგვრელი ამბებიც, როცა სიხარულთან ერთად, ჩემთვის საჭირო იყო გძნობის გაღვიძებაც, კეთილშობილური სიყვარულის და შებრალების მოცემაც. და მე მაგონდება დედა, სიყმის ამხანაგი და ბავშის იმედების გვირგვინი, პირველი ბაღი ბედნიერების, ვის გულზეც კრეფ ჯერ ხელუხლებ ყვავილებს და ყნოსავ მას... შენ პატარა გულის სარკეზე იხატება მაშინ სამერმისო ცხოვრების გზა და ხიდი. აქ იჭედებოდა ჩემი ცხოვრების გრდემლი, რომელიც, შემდეგ, უნდა მეწრთო და ცხოვრების ჩარხის ტრიალში ჩარეულვიყავ...

და, როცა ვგძნობდი ჩემ ნერვებში მოსულ ახალ ძალას, მე იჭვებმა შემიპყრეს... მე მინახავს ცრემლები ჩემი და დაფიქრებულვარ ჟამსა მწუხარებისასა. მარა ეს არ იყო ავათმყოფის ფიქრი. ეს არ იყო განყენებული აზროვნების, ან ფუქსავატობის მონაბერი შემეცნება...

„ვალიკო"

(შემდეგი იქნება)

იქნებ, არ ჯერათ...

ზაფხულისა ღღე გოლვიანი, ჩუმი, თვლემარე,
ძილს გვრის ყველაფერს, ძილს გვრის ფოთლებს, ბალახს,
ყვავილებს,
ცხელა ყოველგან, თვლემს ბუნება, დუმს არე-მარე,
მხოლოთ არა აქვს მოსვენება შრომისა შვილებს.
აგერ, შეხედეთ სიცხის ბუღში, ოფლით დამწვარი,
ნუშაობს ბიჭი. პაწაწკინა, იქ მარგლის ქალი,
არავინ არი... თლად შემცირდა მაშვრალთ ლაშქარი...
ვინ იცის, კიდევ, რამდენს ჩანთქავს ბძოლისა ალი.
იქ ხედავთ მოხუცს!.. რა ვქნა, ღმერთო, თქმა მიძნელდება,
სიმიდებში ზის, აღარ ძალუძს მას ფეხზე დგომა,
შამოიმარგლის ირგვლივ, შემდეგ, წინ წაფორთხდება,
და ისევ მარგლის... ცრემლათ ცვივა ყრუ გულის წყრომა...
იქნებ, არ გჯერათ ეს სვე ლაღნო, იქნებ, გიკვირდეთ,
ნახეთ სოფელი,—დღეს ობოლი, დამწუხრებული...
და, იქნებ, მაშინ თქვენც შეწუხდეთ, თქვენაც ატირდეთ,
იქნებ, მოგილბეთ მაშინ გული, გაქვავებული!!
შეხედეთ, დედას—შვილს ამგზავრებს ბძოლისა ველზე,
უკანასკნელ შვილს ეთხოვება გულმკერდის ხოკვით:
—მშვიდობით, შვილო, მომეხვიე, შენ მშობელს ყელზე...
—მშვიდობით, დედი, გამომზდელო წვითა და დაგვით!!
და მიდის შვილი... ის უსიტყვოთ შორდება მშობელს,
და თვალს არიდებს ეზო—სახლ—კარს, ბოლმა კლავს მწველი.
ემშვიდობება ის საყვარელ მიდამო—სოფელს,
ეთხოვებიან მას ყანები, გაუმარგლელი.
იქნებ, არ გჯერათ ეს, სველაღნო, იქნებ, გიკვირდეთ,
ნახეთ სოფელი—დღეს ობოლი, დამწუხრებული,
და, იქნებ, მაშინ თქვენც შეწუხდეთ, თქვენაც ატირდეთ,
იქნებ, მოგილბეთ მაშინ გული დამწუხრებული.

ქუთაისი. ფერმა.

ი. სიხარულიძე.

პირველი დებიუტი.

(ამბავი)

ის იყო მუშაობა გათავდა ჩვენ ლაზარეთში და თელი დღის ნამუშევარი, დაღლილ-დაქანცული, ჩემს ოთახში ლოგინზე მივწექი. მართლაც და, დღეინდელი დღე დიდათ გაირჩეოდა სხვა ამგვარ დღეებიდან. აქამდი ჩვენ ლაზარეთში ორმოცამდი ავათმყოფი იმყოფებოდა და დღეს-კი მახლობელ ქალაქიდან თუთხმეტამდი დაჭრილი გამოგვიგზავნეს, რომელთაც საჭმარო მოვლა ჭირდებოდა. გზაში თითქმის ყველას შეხსნოდა შეხვეული ჭრილობა და მოუთმენლათ ელოდენ თვის რიგს. ყველა ისეთი თვალით მოგვჩერებოდა, თითქოს გვეუბნებოდა: იწამეთ თქვენი ღმერთი, ბალე მოგვხედეთ, თორე ტკივილებისგან ეს არი გავთავდითო.

დღეს ყველა მუშაობდა: უფროსი მკურნალი, მისი თანაშემწე, მე და ორი მოწყალების და. ამათ კიდე უნდა დავუმატოთ მსახური ქალი, ულიაშა, რომელიც ძლივს გვართმევდა ყველას თავს; თვისი თეთრი ხალათით, ხან ერთ კუთხეში მიეხეთქებოდა, დაჭრილი ფრინველივით, და ხან მეორეში, ზოგთან რა მოქონდა და ზოგთან—რა.

გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა ეს დასახიჩრებულთა ბრბო. სიცოცხლით სავსე ვაშკაცები გამოსალმებოდენ ისეთ რამეს, რასაც ნებით არაფრის გულისთვის არ შეელეოდენ. და განა რომელიმე მათგანი დათმობდა, ან ხელს, ან ფეხს, ან თვალს და ან კიდევ უარესი საღ სისხლსა და სხეულს? მერე, ვის, რათ დასჭირდა ამდენი სხვერპლი? ან როდის მოეღება ომის ღმერთის მსახურებას ბოლო?...

ვიწექი დაქანცული და არ მინდოდა სანთელი ამენთო, რო ამით ჩემი ოცნებანი გამეფანტა. თვალწინ მიდგა ყოველი დაჭრილი, რომლისთვისაც-კი ოდესმე ჭრილობა შემეხვია.

აი, უკრაინელი 30—35 წლის წვრილი ‹ოლშვილის პატრონი, რომლისთვისაც ყუმბარას ნახევარი მხარე თლად დაესახიჩრებია. გადატეხილი მარჯვენა მკლავი, შეტეხილი გვერდის რამდენიმე წელი, აქა-იქ ამოგლეჯილი ხორცი და ამასთანვე ერთად ჭლექი, რომელიც დღითი დღე სანთელივით აქრობდა ადამიანს, ისეთ სურათს წარმოადგენდა, რო საცოდავს ყოველთვის თვალს ავუხვევდით, თვისი ჭრილობანი არ ენახა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო. ჭრილობის შეხვევის შემდეგ, ყოველთვის იმედს ვაძლევდი: ნუ გეშინია, მალე მორჩები და შენ სოფელში გაგზავნით-თქო. მარა მისი პასუხი ერთი და იგივე იყო:

— მაიმედებთ, მეტი არ არი თქვენი მტერი, მე არ მოვრჩე.

აგერ, პოლონელი, თითქმის ბავშვი, რომელიც მეორეთ იყო დაჭრილი და მუდამ მწუხარე სახით მეკითხებოდა, ომში კიდევ გამგზავნით, თუ არაო. შიდა გუბერნიის მცხოვრები რუსი, მიუხედავათ იმისა, რო არც ერთი ფეხი მას აღარ ქონდა, მაინც მეუბნებოდა: არაფერია, ჩვენ კიდევ ვიომებთო. ცალ-ხელა ებრაელი, ჭკუაზე შეშლილი ქართველი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ვინმე, რომელიც მიუხედავათ სჯულისა, ეროვნებისა, რაღაც დიდს, უხილავ ძალას შეერთებინა და სიკვდილის წინ გაესწორუფლებიანებია...

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, რო კარზე ვიღაცამ დაარაკუნა.

— შემოდით. ვინ არი? დავეკითხე მე, როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე.

— ეს მე ვარ, ულიაშა, მომიგო მსახურმა მოწიწებით, თითქოს ის ყოფილიყო დიდი დამნაშავე, რო უდროო დროს შამოვიდა და ჩემი საყვარელი ოცნებანი, დაჭრილები, თავიდან მომაცილა.

პანიჩ,[1]) მკურნალი, გთხოვთ მობძანდითო.

— როგორ? კიდევ მუშაობა არი, თუ?

— არა, იქ ვიღაც კაცი გიახლათ სოფლიდან. მგონი, ავათმყოფი უნდა ყავდეს.

— კარგი, მოვალ, ვუპასუხე მე. მარა კარგათ ვერ გამომერკვია, თუ რაში იყო საქმე. სოფელში მე არასოდეს არ ვყოფილვარ ავათმყოფთან და ახლა, როგორ გამაგზავნიდა. ალბათ, თვით მიდის და უნდა მეც გამიყოლოს-თქო, გადავწყვიტე მე და მკურნალის ოთახისკენ გავწიე.

II

ივან ვასილიჩი, ასე ეძახოდენ უნცროს მკურნალს, ღიმილით შამომეგება.

— თუ ძლიერ დამიმადლებთ, მითხრა მან, ავათმყოფთან გაგზავნით, აქვეა ახლო, სოფელში. ეს ხო თქვენი პირველი დებიუტი იქნება?!

გმადლობთ, მივუგე მე. მარა ეს მაინც როგორ იქნება... მარტოკა, ვაი, თუ ვერაფერს გავხდე და იქ-კი შველა იქნება საჭირო. თქვენც რო წამოხვიდოდეთ...

— არაფერია, გამაწყვეტია მან სიტყვა.

[1]) პანიჩ-უკრაინულათ ბატონის შვილს უწოდებენ. პან-ბატონია.

ავტ.

აი, თვით მამა იმისი: მაგის შვილს ფეხი მოუჭრია ნაჯახით და ეშინია, მძიმე ჭრილობა არ ექნესო. თქვენ წახვალთ, შეუხვევთ ჭრილობას და, თუ საჭირო ვიქნე, შემატყობინეთ. შენ ამბობ, მიუბრუნდა იგი იქვე მდგომ შვა ხნის, გამხდარ გლეხს, რო შეშას ჩეხდა — არა?

— დიახ... ჰო, შეშას... და გაკვირვებით მე შამომხედა. არა, თქვენო კეთილშობილებავ, მიმართა ნაკურნალს, თქვენ, თუ წამობძანდებით, უკეთესი იქნება. ერთი შვილი მყავს და მეშინია, არაფერი დაემართოს... ქენით, ბატონო, მადლი, თქვენ...

— კარგი, კარგი, სულ, ერთია. ეგ წამოვა, თუ მე სულ ერთია, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ.

თელი ამ ლაპარაკის დროს, არც ერთხელ იმას თავი მაღლა არ აუღია, გარდა იმისა, რაც მე არ შამომხედა პირველათ გაკვირვებით და ისე ბეჯითად ამბობდა ყოველ სიტყვას, რო გეგონებოდათ, ადრე გაზეპირებული აქვს და ცთილობს, სისწორით გადმოგცესო.

მაშ, ასე, ჩემო მეგობარო! მომიბრუნდა მკურნალი. ჩაიცვით და გაყევით!

მე სიტყვა აღარ შემიბრუნებია და რამდენიმე წუთის შემდეგ, პატარა ჩემოდანი თედორეს, როგორც მან მითხრა თვისი სახელი, გადავეცი და მკურნალის ოთახიდან გამოვედით.

კიბესთან თედორეს ორ ცხენიანი ეტლი იდგა. მარჯვენა მხრით ნოთა *) ცხენმა დაინახა, თუ არა პატრონი, ისე გაიხარა, რო სიხარული ველარ დამალა და მხოლოთ ხვიხვინით გამოხატა. შემდეგ, მე შამომხედა, ისეთი უცნაური თვალით, თითქო მისთვის რაღაც საუცხოო ამოცანა უნდა ყოფილიყო და ცთილობდა ეს ამოცანა ამოეცნო. მარა რო დარწმუნდა იმაში რომ ის მის ახსნას ვერ შეძლებდა, მეგობარს გადახედა, ორივე ყური ძირს დაუშვა და ამით მას უთხრა: ჩვენ ჩვენი საქმე ვქნათ და ეს-კი, ვინც უნდა, ის იყვესო.

*) შუბლზე რო თეთრი ექნება ცხენს, ან ხარს, ჩვენში ნოთას ეძახიან.

ავტ.

უკვე დიდი ხნის დაღამებული იყო, როცა საავათმყოფოს გამოვშორდით და ნაბიჯით სასოფლო გზას დავადექით. თედორემ იგძნო, თუ არა თავი თავისუფლათ, მარჯვეთ აიკრიფა ხელში აღვირი, გადაკრა ცხენებს მათრახი და მიაძახა: „ეე....ე, მძინარეს გასწით“. ცხენები, თითქო შეურაცყოფათ მიიღეს ასეთი სახელწოდებაო, შეკრთენ და სისწრაფით გაეკვრენ მოუკენჭავ, დუმილით მოცულ ფართო გზას.

იდგა რუსეთის ცივი შემოდგომის ღამე. თელი სოფელი უკვე ძილს მისცემოდა, მხოლოთ აქა-იქ, თუ დაეხეტებოდენ სოფლის ძაღლები, რომელნიც ისე მოეკუნტა შემოგდომის ცივ ქარს, რო ველარც ერთი ყეფით უკან ველარ გამოგვეკიდა, გარდა ერთი პატარა ფინიისა, რომელმაც მოინდომა თვისი გულადობის გამოჩენა და წკავილით უკან გამოგვეკიდა. მარა იგძნო, თუ არა თედორეს მათრახის მწვავე გემო, აგრეთვე გულშემზარავი წკავილითვე პატრონის სახლს მიაშურა. ყოველივე ხმაურობა მიწყდა. სოფლის განაპირას გაისმა სოფლის დარაჯის ბოხი ხმა, მას გამოეხმაურა მეორე, სადღაც შორს და ამით სოფელს ამცნეს, რო ყველას შეეძლო თავისუფლათ მიცემოდენ მოსვენებას, რათგან დარაჯათ ისინიც კმაროდენ. მე თან და თან ვიმალებოდი ჩემს თითქმის, საზაფხულო პალტოში, რო ამით ქარის ქროლა თავიდან ამეცილებია. მარა სულ სხვა ფიქრებმა გამიტაცეს, ერთი მხრით, მიხაროდა ის, რო დღეს პირველათ ვნახავდი ავათმყოფს მარტო მე და სხვის დაუხმარებლათ დახმარებას ამოვუჩენდი მას. მარა, მეორე მხრით, მაშინებდა ის, ვაი, თუ ჭრილობა მძიმე იქნეს და მე ვერაფერს გავხდე მარტო-თქო. მარა ჩემი ფიქრები თედორემ დაარღვია, რომელიც კოფოდან ჩემთან გადმოძვრა.

— პანიჩ, ხო გაიგონეთ თქვენც, პოლიციელებს შეტაკება ქონიათ ვანკა მახნატისთან?!

ვანკა მახნატი უკვე სახელგათქმული ყაჩაღი იყო, არა თუ მარტო იმ მაზრაში, სადაც მე ვმსახურობდი, არამედ უკვე თელი გუბერნია მის საბძანებელს შეადგენდა. წელიწადი იყო მას აქით, რაც ვანკა მახნატი, მობილიზაციის დროს, რამდენიმე ამხანაგით სამხედრო ბეგარის გამოქცეოდა და ცარცვა-

გლეჯისთვის მიეყო ხელი. მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღო თავიდანვე ვანკას დასაჭერათ. მარა დრო გადიოდა და ვანკას ბოროტ მოქმედებას თითქმის ყოველ დღე ვკითხულობდით გაზეთში. რამდენჯერ მოიმწყვრიეს კიდევაც. მარა ვანკა ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდათ.

-- გავიგონე—კი დღეს, მარა დაწვრილებით არ ვიცი, თუ რაში იყო საქმე. დაიჭირეს ვანკა მახნატი? დავეკითხე მე.

— დაიჭირეს!.. ვანკას, ვინ დაიჭერდა?

— რატო? რა ასეთი დევ-გმირია ვანკა? რო ვერავინ მას ვერ დაიჭერს?

— მიტო, რო ვანკამ იცის კიბოები სად ზამთრობენ. პოლიცია, რო გაიგებს ვანკა ამ სოფელშიაო, მაშინ ვანკა იმ სოფელს იქით არის... ჰმ, რას შეამოკლეთ ფეხი? გადასძახა მან ცხენებს.

— მერე, შენ საიდან იცი, თედორე, ეს ამბები? დავეკითხე მე გაკვირვებით,

— მე... არ ვიცი... მე არაფერი არ ვიცი... ასე ამბობენ სოფელში..

— მაინც, როგორ მოხდა, რო წაატყდენ თავზე?

— მოხდა ისე, რო ვანკას და იმის ამხანაგებს ეძინათ, პოლიცია თავს დაეცა და სროლა აუტეხა. ისინიც წამოცვინდენ და დაუშინეს. პოლიციელები ცოტა იყვენ და გაიქცენ. ვანკას ერთი ამხანაგი დაუჭრეს, მარა ვანკას იქ არ დაუტოვებია იგი და წაუყვანია...

— ვინ გითხრა, თედორე ეს ამბავი? დავეკითხე. მარა თედორემ ხმა არ გამცა, ეტლიდან გამოიხედა და ისევ კოფოზე ავიდა.

გ. ალი.

(შემდეგი იქნება.)

მაშინ გიმღერებ!

შენი ალერსი მწარე სევდას ვერ გამიქარვებს,
შენი ამბორი ვერ გაკურნავს ჩემ მწარე წყლულებს,
შენ ვერ აღადგენ ჩემ იდეალს, ჩემ მისწრაფებას,
შენ ვერ შემიშრობ მე თვალთაგან ცრემლთ ნაკადულებს.

—

მე სევდა თან მდევს, აჩდილივით, არა მშორდება,
ჩემსა გარშემო კვლავ გაისმის კვნესა, გოდება...
შენ ვერ აიტან ამ მწარე ხმებს, ხმებსა მწუხარეს
და შენც დააფრქვევ შავ თვალთაგან ცრემლსა მდუღარეს.

—

მე მებძოლი ვარ! და, ვით შეძლებ ჩემთან სიარულს?
შენ ვერ აიტან ჩემებ ტანჯვას, ტანჯვას შესაზარს,
ვერ აღუდგები შენ სტიქიას, იგი გისხვერპლებს,
მე-კი მას მივდევ შეუპოვრათ, თვით ვგვრი შიშის ზარს.

—

მე მებრძოლი ვარ! გესმის? შენ —კი ნაზი არსება;
თუმც ჩვენ ორივეს წმიდათა გვწამს ერთგვარი მცნება:
„სამშობლო ტურფა“—ხომ ეს არი ჩვენი ოცნება,
მე მისთვის ვიბძვი, შენ—კი ლოცვა დაგევალება.

—

შენ უმანკო ხარ!.. შეევედრე წმიდა ღვთაებას,
რომ ააცდენდეს შენ სამშობლოს ტანჯვა—ვაებას...
მე—კი, მებძოლი, შავებმები მტერს მტკიცეთ, მკაცრათ,
ან შევაკვდები, ან და მოვკლავ, ვაქცევ მტვრათ—ნაცრათ!..

—

და მაშინ, როცა ჩვენ სამშობლოს მზე გაუცინებს,
ოქროს სხივებით, რო დაფერავს მის ტურფა ველებს,
მაშინ მივიღებ შენსა ამბორს, შენს ტკბილსა ალერსს,
გამარჯვებული ჩემი გულიც მაშინ გიმღერებს.

ქ. გორი. 1916 წ. 23 მაისი.

ობოლი მწყემსი.

„გზა“ *)

მოქმედება მეორე.

(ღორმუცელაძის მაღაზიას შეკეთება ეტყობა. მაღაზიის წინ, სვეტზე კიდია ხორცი, გვერდით მიშენებული აქვს ფუნე. ღორმუცელაძე და მისი ნოქარი ფაცა-ფუცობენ: ფურნიდან გამოაქვთ ცხელ-ცხელი პურები და მაღაზიაში შეაქვთ. კოოპერატულ სავაჭროდან მოისმის ლაპარაკი.)

სევასტი—(კირილეს). ფა, ფა, ფა, ფა, არიქა, კირილავ ბიჭო, შენ გაგზდის ღმერთი. ხომ იცი, ბიძია, ხვალე კვირეა და გაცხელებული ვაჭრობა გვექნება? დაფაცურდი, ბიძია, დაფაცურდი! (კირილეს პურები მაღაზიაში შეაქვს და უკან ბრუნდება.) აბა, კირილავ, აი, პურები, ბიძია, ცაკე დააწყვე, ხვალე ივანიკამ უნდა წეიღოს ქორწილიზა. არ დაგავიწყდეს-კი, მე, თუ არ დავრჩე, დავთარში ხელი მოაწერიე, გესმის? ასე, ასე, ბიძია, ეცადე, შენ გაგზდის ღმერთი! ხომ იცი, მამაშენს ჭადის ნატეხაი ენატრება და შენ-კი ათ გირვანქა პურს მიღველავ დღეში (ორივე მაღაზიაში შედის, გერმანე სავაჭროდან გამოდის).

გერმანე—(აღელვება ეტყობა). დაწყევლოს ღმერთმა, რამდენიც არ უნდა უმტკიცო ზოგიერთ კაცს, რომ ორი და ორი ოთხია, სულ ერთია, მაინც ვერ დააჯერებ, თავი რო კისერს მოუშორო. მაინც გეიძახის-ცოცხალი ვარო. (მიუჯდება მაგიდას და ფიქრებს მიეცემა).

სევასტი—(მაღაზიიდან გამოდის, საპურე ყუთი გამოაქვს და გვერდებს უჭედს, გერმანეს დაინახავს.) ააა, ჩვენი პერზიდენტი! რავა ბძანდები, ბატონო კაკო? სიცილით.) ხა, ხა-ხა, რავაა თქვენი კოოპერატია, ა? ხომ არ გამოხინკილებულა? აპა, რავა გეგონათ?

ჯერე, სადაა? მეიკაით პატარაი, მე თქვენ გაჩვენებთ ვინაა სევასტიე! კეჟერასავით დაგწურავთ, თუ ბიჭი ვარ, კეჟერასავით! აპა, რავა! ღმერთი მე მწყალობს და კაცი! შარშანდელმა მოუსავლობამ ხო სულ გამაკეთა კაცი და ეგაა. სოფელი გამოხინკილებულია! ერთი ფინჩხაი ჭადი არ მეიძებნება, ჭადის მაგიერ პურს ხმარობენ, პურს-კი მე ვაცხობ!! (იცინის) ნუ გეშინია, კოომპერატიამ კონკულენცია არ გამიწიოს. ღმერთს ეხვეწონ, ღმერთს, პური არ გავაძვირო, თვარა რა ეშველებათ მაგ უბედურებს, არ იყიდიან, ოუ? არ იყიდიან და შიმშილით გაფშიკდებიან. ჯერე სადაა? სევასტიე კარგათ იყოს ბ საქმის გამოჭახრაკება რავა უნდა, მას კითხეთ. თელი სოფელი პურს ჩემთან ყიდულობს. მარტო პური რაია? მარტო პურს, თუ დავაჯერებდე, ოჯო, კაია თქვენ ნუ მომიკვდეთ! პური ჩემთან იყიდონ და სხვაი კოომპერატიაში? არა, არა ძამია, ვერ მოგართვი პატრიჯანი. თუ პურს ყიდულობ, ბიძია, სხვაიც იყიდე, თვარა და რავაც გინდა, ისე ქენი: პურიც, სხოკან იყიდე და ოხრახუშიც! (კირილეს ეძახის.) კირილავ, ბიჭო კირილავ! (კირილე კარებში მოდგება.) ივანიკაის პურები, ბიძია, აი, ამ ყუთში ჩააწყვე, გესმის? მე, აგერ, მამასახლისთან ჩავალ ერთ წამში და, თუ მიკითხოს ვინმემ, მალე მოვა-თქვა, უთხარი. (მიდის. კირილეს ყუთი მაღაზიაში შექავს. სავაჭროდან გამოდის სამსონ).

სამსონ.—(გერმანესკენ.) ამას შეხედეთ ერთი, რავა კრუხსავით მოფუღურებულა! რა დაგემართა, კაკო,ა? ხომ იცი, ვინც ბევრს ფიქრობს, ადრე ბერდება? სულ ერთია, ძმავ, რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ, ჩვენ საქმეს მაინც ვერაფერი გამოაკეთებს!

---

*) იხ. „ცხოვრება“, № 12.

გერმანე. — ჩემ საქმეზე, რა მოგახსენო და შენი საქმე ხო გამოკეთებულია, მეტი, რა გინდებიენ? ხვალ, თუ ზეგ თფილ ადგილში მოიკალათებ! კარგი ჯამაგირი და ფართო ცხოვრება.

სამსონ. — ჰე, ჩემო ძმაო! ღმერთს გეფიცები, მეტი გზა არ არი, თორე, ისე მეძნელება, ისე თქვენი მოშორება, რო ვერ წარმოიდგენ! მარა, რას იზამ, კაცო? ეგ ოხერი კუჭის საკითხი მაიძულებს, ასე მოვიქცე და, რა ვქნა?

გერმანე. — (ირონიულათ.) ჰო, ეს-კი მართალია! გეტყობა, რო ჩვენი მოშორება, მართლაც, გეძნელება. მარა, აპა, რა უნდა ქნა, თუ მაგი ოხერი კუჭი ძალას გატანს,!

სამსონ. — დიახ, დიახ. ჩვენ ყველანი ვცთილობთ, როგორც იტყვიან ხელით და კბილით თავიანთი კუჭისთვის! მეც, შენც, მეორეც და მესამეც. აქ საძრახისი არაფერია! ადამიანი ყოველთვის ცთილობს თავის კერძო ბედნიერებაზე და კეთილდღეობაზე.. ის ისეთი ეგოისტია, რო თავის „მე“ს ყველაზე მაღლა აყენებს. რა საჭიროა აქ დავმალოთ ის, რაც გულში გვაქვს. საზოგადობრივი კეთილდღეობა მაშინ აინტერესებს ადამიანს, როცა ამით მის პიროვნულ კეთილდღეობას ზიანი არ ადგება. მართალია, არიან ისეთებიც, რომლებიც საზოგადოების სხვერპლათ ეწირებიან. მარა მათი რიცხვი, ისე ცოტა პრაცენტს შეადგენს, რო მათზე არც-კი ღირს ლაპარაკი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რო კერძო, პიროვნული ცხოვრება მათაც აინტერესებთ. არავინ მინახავს ისეთი და არც გამიგონია, რომელიც არ ფიქრობდეს იმაზე, თუ როგორ ჩაიცვას და დაიხუროს, ჭამოს და სვას. ერთი სიტყვით, როგორ დაკმაყოფილოს თვისი მოთხოვნილება. ასეთია, ძმაო, ცხოვრების სინამდვილე, რომელიც ყველას გვიმორჩილებს: შენც, მეც, პეტრესაც, ვახუშტისაც.

გერმანე. — (აღელვებით.) ეს შეუძლებელია, ეს ჩემი პიროვნების შეხებაა. მე ამის ნებას არავის მივცემ. დიახ, არავის! მე სრულიათაც არ ვემორჩილები ცხოვრების იმ კანონებს, რომლებსაც შენ დაუმორჩილებიხარ. მე სულ სხვანაირათ ვუყურებ საზოგადობრივ მუშაობას და არა ისე, როგორც შენ! არავითარი ნება არ გაქვს ჩემზეც ისეთი შეხედულება იქონიო, როგორც თავის თავზე. დიახ, არავითარი! (გულმოსული გადის,)

სამსონ. — (გაკვირვებით.) არ ვიცი, ღმერთმანი, რა არის აქ საწყენი? მე ვთქვი მხოლოთ, საზოგადოთ, ადამიანის ლტოლვილებაზე, თავის კერძო პიროვნულ ცხოვრების გაუმჯობესობისკენ. შენ ამ მხრივ, შეიძლება, გამონაკლისს შეადგენდე. ამის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არაფერი მაქვს და არც მექნება. (სავაჭროდან გამოდის თედორე.)

თედორე. — რა ამბავია, ხალხო, რა გაყვირვებთ?

სამსონ. — ისეთი არაფერი! მე ვთქვი, რო ყველა ადამიანი ისწრაფვის თავის კერძო მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ-მეთქინ და ეს გერმანეს არ მოწონს. რა არის აქ არ მოსაწონი, ან საწყენი, ვერ გამიგია?

გერმანე. — ვერ გაგიგია იმიტო, რომ არ გინდა, გაიგო! შენ მახვევ თავზე იმას, რაც არ მეკუთვნის და მეზიზღება კიდეც. ეს არი კერძო პიროვნული ცხოვრების გაღმერთება. შენ პიროვნებას საზოგადოების წინ აყენებ, მე-კი-უკან. შენ მიდიხარ სოფლიდან იმიტო, რომ ეს შენთვის არი სასარგებლო. იმას-კი არ კითხულობ, რამდენათ სასარგებლოა ეს სოფლისთვის. და, განა ეს ასაღელვებელი არ არის?

თედორე. — ასაღელვებელი აქ არაფერია. ახლა და ყველა შენი აზრის ხომ არ იქნება? შენ მასე გგონია, სამსონს — კი ისე. ჩემი აზრითაც, სამსონს შეეძლო სოფლათ ცხოვრება და ხალხისთვის სამსახური. მარა ის არ რჩება სოფლათ. არ რჩება იმიტო, რო კაცი კუჭისტია. კუჭისტები-კი მიილტვიან იქით, საცა მეტი სახრავია, მეტი სახრავი-კი ქალაქშია. სოფელი მაინც და მაინც ამით ბევრს არაფერს დაკარგავს. ამას უსამსონოთაც გაუძლია და კიდეც გაძლებს. არც ისე შორეა ის დრო, როცა სოფელი გამოიღვიძებს და თავის საქმეებს თვით გაუძღვება. აპა და, თუ სამსონისანა გზა აბნეულ ინტელიგენტებს დაეყარა, ვერაფერი სიკეთეა, თქვენ ნუ მომიკვდეთ (ღი-

მილით.) ხომ ასეა, სამსონ, მამა ნუ მოგიკვდება?

სამსონი.—დიახ, დიახ, მასეა! ჩემისანა გზა აბნეულ ინტელიგენტებს, აპა, რა უნდა შეეძლოს? სულ სხვა ხართ თქვენ, გზა ნახული ინტელიგენტები! მხოლოთ თქვენ ააყვავებთ ჩვენ სოფელს, მარტო თქვენ! (გზაზე გამოჩდებიან ივანე და პეტრე, მიუახლოვდებიან მათ და სალამს აძლევენ).

ივანე.—(სამსონს) ვიღაცამ მითხრა, სამსონი თფილისის ქალაქში მიბძანდებაო. მართალია, სამსონ, თუ მომატყუენ, ნეტეი?

სამსონი.—მართალია, მართალი, ჩემო ივანე! ხვალ დილას მივდივარ. (გერმანე სავაჭროში შედის.)

პეტრე.—ძალუანი საწყენია მაი ამბავი, ჩემო სამსონ, ძალუანი. (ნაღვლიანათ.) ჰე, აწი უნდა უყუროთ მოსე ფერშალის დღეობას. რაც ამდონ ხანს დაკლებია, შენი გამოისობით, სულ ჩვენ ზურგზე ეინაზღაურებს!

ივანე.—ეინაზღაურებს-კი არა, ი არ გინდა? ვეფერსაც ვერ ეინაზღაურებს, ძამია! მარა საქმე ისაა, რო წამლობა არ იცის, წამლობა, იმ ოჯახ დაქცეულმა. მარტო ქინაი, რო ყველაფერს არჩენდეს, ძამია, ვიყიდი, ჩემი ბატონი შენ ხარ, ერთ გოდორ ქინას და, ვინც ავათ გახდება, გამოვუწერ და გამოვუწერ, სულ ერთია, ფეხი ატკივდება, თავი, თუ ყპაი! (იცინიან.)

თედორე.—ასე, ასე, ჩემო ივანე! ხო ხედავ, ჩვენს მეტი ყველანი გარბიან სოფლიდან? მარა არა უშავს. ჩვენ მაინც ძველებურათ გავწევთ ცხოვრების მძიმე უღელს! ვეცადოთ, ვეცადოთ, ჩემო ივანე და ყველაფერს მოვაწყობთ! ფერშალს-კი არა მკურნალს ვიყოლიებთ სოფლათ, მკურნალს.

პეტრე.—ჰე, ღმერთმა კაი იმედი მოქცეს, ჩემო თედორე. მარა ხო გაგიგონია: სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო? რაცხას ჩვენ მოვესწრებოდეთ, თვარა, თვარა, მერე რო რაცხა კაი იქნება, მეც ქი ვიცი.

სამსონ.—(პეტრეს.) ნუ გეშინია, პეტრე, ყველაფერს მოესწრები, ყველაფერს! ახლა—კი მშვიდობით! (ხელს ჩამოართმევს.) იმედი მაქვს, სოფლათ დაბრუნებისას ისთევე ტანთელი პეტრე დამხვდები, როგორსაც გტოვებ.

პეტრე.—მშვიდობით გნახე, ჩემო სამსონ, მშვიდობით! ღმერთმა თქვენი თავი მანთაშვილისანა გამდიდრებული მანახოს.

თედორე.—ჰე, რას ამბობ, პეტრე? მაგი ჩვენსავით ლატაკია და გვშორდება. მანთაშვილსავით, რო გამდიდრდეს, მაშინ ხო მაგის ბურდღასაც ვერ მოიძევს ჩვენ სოფელში კაცი!

სამსონ.—ძალიან ცოტები! მე ისე არას დროს არ გავმდიდრდები, რო ვინმე დამავიწყდეს, და განსაკუთრებით-კი, პეტრე. (ივანეს ხელს ართმევს.) მშვიდობით ივანე! აბა, თქვენ იცით, როგორ კოჩაღათ იქნებით. იცოდე, სიღარიბემ და გაჭირვებამ არ შეგაშინოს.

ივანე.—ღმერთმა მშვიდობით მანახოს თქვენი თავი, ჩემო სამსონ. გაჭირვება რას შემაშინებს, ძამია. მე და ის დიდი ხანია ერთმანეთს შევეჩვიეთ და დავმეგობრდით კიდეც! (იცინიან.).

სამსონ.—მშვიდობით, მეზობლებო, ნახვამდი! (თედორეს) ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს! გერმანე და შენ საღამოს ჩვენსას გადმოხვალთ.

თედორე.—შენ ერთი კარქი ვახშამი მოამზადებიე და სხვა ჩემი საქმე იყოს.

სამსონ.—(ღიმილით) ვახშამი რა უნდა იყოს, კაცო? ლობიოს და ჭადს, რამდონიც გინდა, იმდონს გაჭმევ! (ივანე სავაჭროში შედის).

თედორე.—ლობიო, უკეთესია შენს უფროს, მკურნალს წოუღე თფილისში ძღვნათ! (იცინიან. სამსონ გადის).

პეტრე.—ჰე, რა ბიჭი გვშორდება, რა ბიჭი! მაგისანაი შვილი, თუ მკითხავ ჩვენს გაბრიელა ხუცესს მორეც არ ყოლია. სოფლისთვის უკვდავება იყო, მე და ჩემა ღმერთმა, უკვდავება! ჩემი ნიკოლაი სწორეთ მაგან გადამირჩინა სიკვდილს. (ცოტა პაუზა).ი მიბძანე, თედორე, სამსონის მაგიერ ახლა ამ ჩვენ კოომპერატიაში ვინღა უნდა ავირჩიოთ!

თედორე.—არ ვიცი, ჩემო პეტრე, აგერ, მალე საზოგადო კრება გვექნება და ავირჩევთ ვინმეს.

პეტრე.—ხეირიანი უნდა ავირჩოთ, ძამია, ხეირიანი, თვარა, ახლა მე რომ ამირჩიოთ, კიდეც გაკეთდება ჩვენი საქმე. (სავაჭროდან გამოდის გერმანე. კარებში მოადგება ივანესკენ).

ივანე.—(პეტრეს) პეტრე, პეტრე, მოი ერთ წამში, თუ კაცი ხარ, საქმე მაქ, საქმე! (პეტრე სავაჭროში შედის).

თედორე.—(გერმანეს) მართლა, კაცო, სამსონის მაგიერ, ვინ უნდა ევირჩიოთ, ა? მე ვითომ ნესტორს ვფიქროფ,-შენ-კი, რას იტყვი.

გერმანე.—მე? მე, რა უნდა ვთქვა?.. ვინც გინდათ, ის აირჩიეთ!

თედორე.—(გაკვირვებით) ეს რას ნიშნავს, კაცო? რაშია საქმე?

გერმანე.—(გულმოსული). რაშია, რაში! მე შენ ათასჯერ გითხარი და კიდევ ვიმეორებ, რომ ორში ერთი უნდა ვქნათ! ან გამოვაცოცხლოთ ეს კოოპერატივი ისე, რო თავის დანიშნულებას ამართლებდეს, ან და უმჯობესია სულ მივკეტოთ! აი, რაშია საქმე. მე არ შეიძლია გულ-გრილათ ვუცქირო იმ საზოგადო საქმეს, რომელიც არ იზდება. დიახ, არ შეიძლია!

თედორე.—მერე, ამით რა გინდა, რო თქვა?

გერმანე.—რა მინდა და ის, რაც ვთქვი! ან სულ დავხუროთ ეს კოოპერატივი და სხვა საქმეს მოვკიდოთ ხელი, ან და მას შესაფერი ნაყოფი გამოვაღებიოთ. სხვაფრივ მუშაობა მე არ შეიძლია, არა და არა!

თედორე.—როგორ, თუ დავხუროთ, კაცო, რას ამბობ? გადავყაროთ ამდენი შრომა, წვალება და ოფელი კიდევ ღორმუცელაძის სახრავათ დავაგდოთ! ძალიანი აზრია, შენ ნუ მომიკვდე!

სანდრო გურული

(შემდეგი იქნება.)

ჩემი მოზარე.

მე დიდ ველზე ვარ, ცხოვრების ველზე;
იქ, სად ცხოვრება შფოთავს და ღელავს.
მე აქ ვიქნები, აქ მინდა ვიყო,
აქვე გამითხრის საწუთრო საფლავს...
წინ დამიდგება მაშინ საკითხი;
ანგარიშს მომთხოვს სინდისის ქენჯნა:
რა გავაკეთე ჩემ სიცოცხლეში
და ან, თუ რისი შემეძლო შექმნა!
მარა სიბნელე, ჟამთა სიბნელე,
ამ საკითხს წყვდიადს გადააფარებს;
ჩემსა სიცოცხლეს, ჩემს გულის პასუხს,
სამარის კალთებს ამოაფარებს.
მოისვენებენ ტანჯული ძვლები,
თუმც მე არ მინდა ეს ასე მოხდეს,
მარა თავისას გაიტანს ხვედრი;
ოჰ, ტანჯვა უნდა ტანჯვით დასრულდეს...
ჩემი ცხოვრების ეტრატს აფურცლავს,
ვინმე მოცლილი ცნობის მოყვარე;
დაუწყებს ძებნას ჩემს სულს და ზრახვებს
და ის იქნება ჩემი მოზარე.
თუ მის გემოზე ძგერდა ეს გული
და მას უმღერდა ეს ჩემი ქნარი;
ის კვლავ აღმადგენს, ქვეყანას ამცნობს,
რო ცოცხალი ვარ, არა ვარ მკვდარი.
მარა, თუ-კი ეს, ასე არ მოხდა,
ის თვით სიკვდილზე მეტსაც-კი შემყრის;
აქექ-დაქექავს ჩემს ობოლ საფლავს
და ჩემ ტანჯულ ძვლებს მაღლა ამოყრის.
მარა-კი, როცა ჩემივე მოძმე,
ჩემ დღეში მყოფი, ჩემივე ფიქრის,
როცა აავლებს თვალს ამ ფურცლებზე,
შეევბრალები და ცრემლებს დაღვრის...
განაგძობს ჩემ გზას და ჩემ საფლავზე
კეთილი ზრახვით ის ხშირათ მოვა;
ჩამიჩურჩულებს: „ჩვენ გულში ცოცხლობ
და შენც გახარებთ მზე რომ ამოვა...“

ა. ხაბულიანი.

კრიტიკა.

ეკატერინე გაბაშვილისა*).

V

ამ პატარა მოთხრობებშიაც ეკატერინე გაბაშვილისა სოფლის ცხოვრების ზედა პირს ეხება და, როგორც რომანტიკოსი, არა ჩვეულებრივს, იშვიათ მოვლინებებს ეტანება, რომელიც მას ადვილათაც შეუმჩნევია იმ დროს ქართველთა ცხოვრებაში. ამიტომაც, იმის ნაწერებს, მართალია, აკლია ღრმა და ძლიერი შემოქმედობის ძალა და ცხოვრების საიდუმლოებას, დაფარულს მხარეს სრულიათაც ვერა კვეთს, ვერა ჭრის...

უკანასკნელი მოთხრობა „**ნიკოს გამარჯვება**“, როგორც მოგახსენეთ, უფრო უკეთ არი, შედარებით სხვა მის მოთხრობებთან, დამუშავებული. იქ, ცივ გომბორის მთაზე შვენიერი, სუფთა შარა გზის აღწერილობა მოკლეთ, ლაზათიანადაც აქვს და ალავერდობის დიდი დღეობაც ცოცხლათ, დაკვირვებით გადმოცემული.

მარა დიდათ შვენიერი კახეთის საოცარი ბუნების მხატვრული აღწერილობა სრულებითაც ვერ მოგვცა ჩვენმა სასახელო ნანდილოსანმა, როგორც ვერ მიცეს ჩვენ ლიტერატურას ამგვარი მისი აღწერილობა კახეთის ღვიძლმა ნიჭიერმა შვილებმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რაფიელ ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ და „ბნელოს“ ავტორმა—მელანიამ. ისინი მხოლოთ ოდნავ, გაკვრით, ყმაწვილური სიცელქით შეეხენ კახეთის ბუნების სახეს, რომელსაც მათზე რაიმე შემთხვევის დროს დიდი ჩაბეჭდილება მოუხდენია.

ამდენი ხანი გასულა, რაც ჩვენი ლიტერატურა აღორძინებულა და კახეთის დიად ბუნების სიმდიდრეს და სიტურფეს ქართველი მწერალი მხატრულათ ვერ აუმეტყველებია, იმ კახეთს, რომლის შვენება მუნჯსაც-კი აუდგამს ენას, და, პოეტის თქმისა არ იყოს:

„მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს...
კვალად შეხედავს ცას და მიწას ნათლის თვალითა,
ოღონდ შეხედოს დაბლა ვრცელ ველს, მის წინ გარდაშლილს,
ველსა, თლად მოსილს წალკოტებით და ყვავილებით.
ველსა ედემსა, ტურფა ედემს, ღვთისგან პირველ ქმნილს...
შეხედოს, ნახოს მის მდიდარი, ტურფა შვენება,
და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება“...

რა არის ამის მიზეზი, რომ ისეთი ნიჭიერი მწერალი, როგორც ეკატერინე გაბაშვილისა, მხატრულ აღწერილობას ვერ იძლევა და შემოქმედობის ტალანტის ფთას ღონივრათ ვერა შლის?

ჩემი აზრით, ამის უმთავრესი მიზეზია ის, რო ჩვენი მწერალი უფრო ხშირათ-კი არა, თითქმის სულ ერთიანა წერს საპუბლიცისტო საგნებზე, ჩვენ ნორჩ ლიტერატურაში სამოდოთ შემოჭრილს ტემებზე საამდროო სურათებს. ეს არი მიზეზი, რომ ავტორი, თვისდა უნებურათ, ცილდება, ცთება შემოქმედობის ფარგალს, ხორც-შესხმულ ესთეტიკას და იძლევა, თუმცა საინტერესო, მარა მდაბიოთა გასართობლათ წასაკითხავ მასალას...

გასული საუკუნის ოთხმოციანნი გაიტაცა სოფლის იდეალიზაციამ, გლეხების იდილიურმა, მყუდრო, მარტივმა ცხოვრებამ, გლეხთა უცოდველ, უმანკო არსებათ დასახვამ და იმისმა თავდაუზოგველათ სამსახურმა...

რა თქმა უნდა, მწერლობამ ვერ აუქცია გვერდი ამ გზას და დაიბადენ იმ დროს ჩვენშიაც, ასე წოდებული, ტეტიათა მოტრფიალენი. ამგვარი ტრფიალი დაეტყო უფრო ჩვენ ლირიკას და, განსაკუთრებით, ბელეტრისტიკას. რასაკვირველია, ისეთი ნიჭიერი, გულწრფელი და გძნობიერი მწერალი, როგორც ეკატერინე გაბაშვილისა, თელის არსებით წმიდის გულით მიეცა ამ საეთოო მიმართულებას, და სხვასთან ერთად ისიც დაჯერებული იყო და ფიქრობდა, რო მარტო შკოლებით და კეთილი სიტყვებით, პირადი მაგალითით ქარ-

*) იხ. „ცხოვრება“ № 13.

თველ გლეხკაცობას გაიტაცებდა სიმართლისა, ჭეშმარიტებისა და თანასწორობის იდეისკენ...

ამათ არ იცოდენ, რო ყმობისგან გათავისუფლებული გლეხი, თუმცა ჩამოშორდა როგორღაც თვის ნაბატონარს, მარა ეკანომიური და პოლიტიკური ფაკტორების სრული უვიცი იყო და უფრო შეუერიგებელი მტერიც იმ იდეალებისა, რომელიც სურდა თავგამოდებით შეეტანა მაშინდელ ინტელიგენციას გლეხებში სოფლათ...

გლეხი დიდი ხანია ისტორიამ შეაბა ვიწრო ინდივიდუალიზმის მძიმე, გამწარებულ უღელში, წაბილწა თლად იმისი სულიერი აგებულობა და ცხოვრება. არა თუ მაშინ, იმ დროს, როცა ამ მოთხრობებს წერდა ჩვენი სასიქადულო მწერალი-მანდილოსანი, არამედ ახლა, გუშინც ამ გარემოებამ, თელი რუსეთის გლეხობის ასეთმა სულიერმა გაწყობილებამ, რუსის გლეხობის უძლიერესმა კონსერვატორობამ დაღუპა, ასეწოდებული, გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოყვა იმ შესანიშნავ ისტორიულ ამბავს, რო ყვითელი მოდგმის აზიელმა პატარა კაცმა მანჯურიის მიდვრებზე და წყნარ უკეანეზე საშინლათ დაამარცხა ევროპის ერთი უდიდესი სახელმწიფოს თეთრკანიანი მკვიდრი...

აი, ამ ისტორიის მიერ განადგურებული გლეხის ეკანომიურათ და პოლიტიკურათ ჩამორჩენილობამ, კარჩაკეტილობამ, დაყრუებამ, რომელსაც გაუმერთებია თვისი ერთი ტკაველი მიწა და კუჭი, რომელსაც თელი სამყარო გროშათაც არ მიაჩნია, ამან და მარტო ამან მოიდნო, მოინარიკლა და სულერთიანა გაანელა ყოველი კეთილი სურვილები და სამერმისო იდეალები ინტელიგენციისა, არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ ყველგან, თელი ევროპის ხმელეთზედაც-კი...

მარა იქ, ევროპაში გლეხ-კაცობა ახლა გამოფხიზლდა... სხვილი ევროპის კაპიტალიზმი ისეთი ძლიერი და რთული შემოქმედობითი ძალაა, რომ ევროპის ხმელეთზე მოსახლე გლეხის ტვინში თელი რევოლიუცია მოახდინა მან...

ამიტომაც, ძალიან მართალს ამბობდა დიდათ ნიჭიერი პროფესორი ფილოსოფიისა და საქვეყნოთ სახელგათქმული ორატორი ჟანჟორეოსი: „გლეხმა**იცის ახლა**(კურსივი ჩემია ხ.), რომ ეკანომიურ ძალთა თამაში სოციალური ხასიათისაა, და არა კოსმიური მოვლენა, და იგი აღარც ემორჩილება იმას ისე, როგორც ემორჩილება ბუნების ძალთა სტიქიურ ზედმოქმედებას...

და, აი, ახლა იმისი თვალის წინ წყვდიადიდან ამოცურდებიან დაშორებული ხალხები და ქვეყნები... როგორც მკაცრი ულმობელი სინამდვილე; იმას ეუბნებიან, რო შესაძლებელია, იმ პურის თვისებისგან, რომელიც დაუთესია ვიღაც ფერმერს ამერიკაში, ოქროს და ვეცხლის რაოდენობისგან, რომელიც ამოუღიათ აფრიკის სამხრეთის ქვეყნების, ან ავსტრალიის მადნებიდან, ტამოჟნების გადასახადისგან, სახელმწიფო ბეგარებისგან, სოფლიო ბაზარზე ფულების კურსის მდგომარეობისგან, ყველა ამისგან, შესაძლებელია, ხვალ დამოკიდებული იქნეს, მის მეზობლათ მდებარე ქალაქში, იმისი საარსებო პურის ფასებიც ბაზარზე, დამოკიდებული იქნეს მისი შრომის ფასიც, მისი თავისუფლებაც, მისი საკუთრებაც.

მაშინ გლეხი სულ პირველათ გძნობს თელ სოფლიოსთან სოლიდარობას და, წინათ სულ თლად ქვეყნიერებას მოწყვეტილი და კარჩაკეტილი, ცოცხლათ დამარხული ერთ თავის მტკაველ მიწა-წყალზე, თვისი დაყურსული უვიცობით, ეგოიზმით სულხორციანა ჩაღუპული, იგი ახლა გძნობს, რო მისი ინტერესები შეკავშირებულია, გადახლართულია ! ხვა ხალხების ინტერესებთან. ატმოსფერული ძალები-კი არა, ეკანომიური და სოციალური ფაკტორები ასწევენ და დასწევენ ძირს ახლა მისი შრომის, მისი პურის ღირებულობას. და გაცვიფრებული, გონება გაფანტული ამ მოვლენებით, იწყებს იგი დაკვირვებას და ფიქრს; როცა იგი გაივლის უზომო ტანჯვის გძელ ჯაჭვს ეკანომიური კრიზისების მეოხებით, შედის, დაბოლოს, კაცობრიობის ცხოვრებაში და ჩაერევა მის აზვირთებულ დუღილს.“

ხომლელი.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფია.

დიდათ პატივცემულ, ქართველ მწერალს, ბატ. პეტრე მირიანიშვილს ძველი და ახალი **ქართული შაირობა**, სადა ამბათ და განმატებით ახლა ხან თფილისში გამოუცია. შაირობა იწყება, იოანე შავთელით და თავდება რაფიელ

ერისთავით. ავტორი შენიშნავს, რომ უძველესი საერო შაირობა ჯერ არ აღმოჩენილაო.

ზოგიერთი პოემა ბატ. პეტრეს სადა ამბათ აქვს შემოტანილი, ხოლო განმარტებულია უმთავრესი მოტივები რაც განახასიათებს ამა, თუ იმ მელექსის შაირობას.

მასალა შემუშავებულია ზოგიერთი ადგილის გამოტოვებითო, წერს ავტორი, როგორც სრულიათ შეუფერებელისა, ზოგიერთის-კი შეკეთებით, რო სხვა და სხვა რჯულის ქართველთა სარწმუნოებრივი გძნობისთვის საჩოთირო არაფერი იყვეს.

წიგნი ლამაზათ არი გამოცემული, 152 გვერდიანია, და ღირს 60 კაპ., რაც ამ ქალალდის ასე საშინელი სიძვირის ჟამს, გასაოცრათ იაფია.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.*)

მართალია, ლიბარტიანს ძალათ აცხებინეს მირონი თამარისთვის იმ მიზნით, რო ჩაეშალათ მათი ცოლ-ქმრულათ დაკავშირება [65]), მარა, ცხადია, ეს აკტი ხალხში ითვლებოდა ნამდვილ მირონ ცხებათ და საქართველოს ეკლესიაც ადასტურებდა ამას. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რო ქათალიკოზი გიორგი (გრიგოლი?) გამოდის მათი ნათესავურ კავშირის დამცველათ და უკძალავს ქორწინებას. დოსითეოზის წერილში მოხსენებული ქათ. გიორგი უნდა იყოს გრიგოლი (ლორთქიფანიძე), რომელიც არჩეულ იქნა ქათალიკოზათ„ შეწევნითაბაშიძისათა „ [66]). ეს კიდევ უფრო ადასტურებს იმას, რომ ამნაირი ნათესავობას ეკლესია ცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გრიგოლი, არჩეული „შეწევნითა აბაშიძისათა“, გიორგი აბაშიძის სურვილის წინააღმდეგ არ წავიდოდა. აქ საყურათღებოა ის, რო საქარ. ეკლესია ძველათ მედგრათ იცავდა თვის მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას. იმერეთის ქათალიკოზი უშიშრათ წინააღუდგა მძლავრ გიორგი აბაშიძეს, რომლის სურვილზე იყო დამოკიდებული იმერეთის მეფეების ბედ-იდბალი, ხოლო იერუსალემის პატრიარქი დოსითეოზი, აბაშიძისგან მატერიალურ შემწეობით დაინტერესებული, სჯულის წინააღმდეგ რჩევას აძლევს. აქ შეიძლება გვითხრან, რომ ერის კაცთაგან მირონის ცხება სოფლიო ეკლესიისგან შეწყნარებული არ იყო, — რომ ეს პრაკტიკა საქართველოში უკანონოთ დამყარდა და, მაშასადამე, ამნაირ მირონცხებას არ შეეძლო გამოეწვია ნათესავური კავშირიო. ამნაირი აზრი შემცდარია და არ შეიძლება შეეიწყნაროთ. კერძო ეკლესიების პრაკტიკაში შეგვიძლია შევნიშნოთ ბევრი გასხვავება სოფლიო ეკლესიის ნორმიდან. მარა ეს ხელს არ უშლიდა ეკლესიათა ერთობას. საბერძნეთის ეკლესიაში იყო ჩვეულება, რომლის ძალით ებრაელის, ოსმალოს, ფრანგის, ან სხვა სარწმუნოებათა ქალებთან კავშირის შემდეგ, მომნანიებელს ცხებდენ მირონს, — მსურველებს მირონით აზიარებდენ და სხვა 67). რუსეთის ეკლესიასაც ქონდა პრაკტიკა: მირონს და ზეთს ერთად აურევდენ და ისე ცხებდენ მონათვლის დროს. ზოგჯერ რუსეთში და თვით საბერძნეთშიაც ხმარობდენ და ახლაც ხმარობენ (სოფლებში) მირონის მაგიერათ ზეთს, რომლის ჭურჭელში ოდესღაც ყოფილა მირონი 68). მარა ამ მირონცხების სინამდვილეში არავის შეუტანია ეჭვი. საეკლესიო ისტორია გვაძლევს მაგალითს ქვეშით მონათვლისას. ყოფილა მაგალითი, რო ბავშების თამაშობის დროს, ხუმრობით მოუნათლავთ თავის ამხანაგი წარმართთაგანი და ეს ნათვლა ეკლესიას შეუწყნარებია, მიუღია ნამდვილ საიდუმლოო და ნათლისღება აღარ განუმეორებია. მაშასადამე, საქართველოს ეკლესიაში ძველათ მიღებული მირონცხების წესი მისაღებია 69).

ერთი მაგალითიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი წლების საეკლესიო ცხოვრებიდან. გრიგოლ დადიანმა პოლიტიკური მოსაზრებით

*) იხ. „ცხოვრება“, № 10.

65). ქართ. ცხ. II, 218.

66) Ibid. 217.

67) პროფ. ლებედევი. Исторія Греко-восточной церкви подъ владычествомъ турокъ (Сергіевъ пасадъ. 1901 г.) ტ. II. 707.

68) პროფ. გოლუბინსკი Исторія русской церкви (Москва 1904). პირველი ტომის მეორე ნახევარი. გვ. 432 და 433.

69) რო მირონცხება ძველათ ერისკაცსაც შეეძლო, ამას პატრიარქ დოსითეოზის გარდა, მოწმობენ პატრ. მაკარი (პ. ჟუზე. მოხს. თხზ. გვ. 27) და ევროპელი მოგზაური შარდენი (Путешествіе Шардена по Закавказью въ 1672—1673 წ. წ. გვ. 66). მათი სიტყვით, ღვდელი მონათვლის დროს, მირონში ამოწებულ ჩხირს გადაცემდა ნათლიას და ის ცხებდა მირონს თავის ნათლულს. ამისთვის ნათლიაც საქართველოში მემირონეთ იწოდებოდა. მაკარი დაძენს, რომ ეს საქართველოში არ იყო ზოგადი და მუდმივი პრაკტიკა, რათგანაც ამას მისდევდა მხოლოთ ზოგიერ-

თვისი ქალი მიათხოვა ბერი გელოვანის შვილსტატოს. მაო შორის არსებობდა ნათესავობა ხორციელი (მეოთხე ხარისხი) და სულიერი (მე მირონობით). ამ ქორწინებას წინააღუდგა სამეგრელოს საღვდელოება და, აი, რა ნაირი წერილსა წერენ ღვდელთმთავრები სამეგრელოს მართველს ნინოს, ქვრივს მაშინ უკვე გარდაცვალებულის გრიგოლ დადიანისას.

„ჩვენ არ გვეგონა, რო თქვენგან იმ მიზნით ვიქნებოდით შეკრებილნი, რო გეთხოვათ შენდობა საძაგელი ქორწინების თაობაზე. შენდობა მისი არ შეიძლება, თუნდაც შენ ეს გსმენოდეს თვით ანგელოზთაგანაც, რათგანც მოციქული პავლე თვით ანგელოზთაც შეაჩვენებს, თუ ისინი ასწავლიან იმას, რაც წინააღმდეგია სახარებისა. ნუ თუ შენ არ წაიკითხე ჩვენი ამ საქმის თაობაზე ყოფილი დადგენილება? როგორ დაივიწყე ჩვენი მზრუნველობითი მოქმედობა თქვენი მეუღლის გრიგოლ დადიანის დროს და მისი აღთქმა? ჩვენი ვალდებულებაა განმარტება, შეგონება, მხილება დარიგება ეკლესის დადგინილებათა მიხედვით. რა სასარგებლო იქნება ჩვენთვის, და თქვენი ქალი დარჩება საძაგელი და უკანონო კავშირში, ჩვენ-კი თქვენმა მაამებლებმა, თუ თქვენის თხოვნის აღმსრულებლებმა, წარვიწყმიდოთ სული და გავხდეთ გეენის კერძნიო? როდესაც სამეგრელოში და, საზოგადოთ, ივერიაში ბატონობდენ მამადიანები, მაშინც ეკლესია არ დაცემულა და ჩვენი სარწმუნოება შეურყეველათ ინახებოდა და ნუ თუ ახლა, ამ სასიხარულო დროს, როდესაც ხელმწიფე იმპერატორს შეუერთდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ეკლესია არ უნდა იყოს უფრო თავისუფალი, ვინემ იყო მამადიანობის დროს?“... შემდეგ წერილში ნათქვამია: განსვენებულ გრიგოლს არ დაცალდა დანაპირის აღსრულება, ხოლო გელოვანმა არ შეასრულა ჩვენი მოთხოვნილება და ამისთვის შევაჩვენეთ იგი და გამოვეცით დადგენილება, რომლითაც ის განვკვეთეთ ეკლესიიდანო. „ნუ თუ შენის ქალისთვის უნდა დაირღვეს ეკლესიის დადგენილებანიო, ეკითხებიან მთავრინას ღვდელმთავარნი. „განა ჩვენ არ ვიყავით, რომ იმერეთის მეფე, სოლომონი პირველის ერთად ერთი შვილის ალექსანდრეს გვამი არ დავმარხეთ წესისაებ, რათგანც ის იყო უჯერო ქორწინებაში და შეუნანიებლათ მიიცვალა? განა ჩვენმა ეკლესიამ არ დაადგინა არა ქრისტიანულათ დასაფლავება მეფის ძმის არჩილისა, რომლის გვამი თვით მოსიყვარულე მისმა ძმამ, კათალიკოზ იოსებმა ურწმუნოებისთვის დაამარხვინა ეკლესიის გარე შეუფერებელ ადგილზე? განა ჩვენ არ განვაშორეთ კაცია, მანუჩარ დადიანის შვილი, უკანონო მეუღლისგან? ამნაირია ჩვენი მოქმედება მეფემთავართა შესახებ. ჩვენ მზათ ვიყავით სიმართლისთვის მათ წინ სისხლი დაგვეღვარა. შემდეგ, თქვენი აქ ყოფნის დროს, განა ჩვენ არ განვაშორეთ ქაიხოსრო წერეთელი მისგან არჩეულ საკოლე, კაცია წულუკიძის დისგან, რომლის გადასაწყვეტათ იმერეთის მიტროპოლიტებმა შეგვყარეს ჩვენ? მაშინ ჩვენ იმდენი სიმხნე და სიმტკიცე გამოვიჩინეთ, რომ არ შეუშინდით დიდებულთა მუქარას და თვით იმერეთის მეფეს, რომელსაც სურდა ნება დაგვერთო ამ ქორწინებაზე. ის წინააღმდეგი იყო ჩვენი დადგენილებისა წერეთელ-წულუკიძეთა საამებლათ, —„ მიუხედავათ ამისა ჩავშალეთ მათი ქორწინება. წერილს ათავებენ ამნაირი სიტყვებით: „ღვთის მოყვარეო დედოფალო! შენი ბძანებით, ჩვენ ბევრი ვიშრომეთ, მოგვეწახა იმნაირი საეკლესიო კანონი, რომლის მიხედვით შესაძლო ყოფილიყო გვეთქვა რაიმე თქვენი მოთხოვნილების სასარგებლოთ. მარა ვერ ვიპოვნეთ იმნაირი კანონი, რომელიც თქვენთვის სანუგეშო ყოფილიყოს. პირიქით, საეკლესიო კანონებით ამნაირათ მოქმედნი უნდა შეიჩვენონ და განიკვეთონ ქრისტესგან და მისი ეკლესიიდანაც. ნუ განიმეორებ ამის თაობაზე თხოვნას და გულის წყრომას ნუ მიეცემით, აასრულე ჩვენი დადგენილება შენი ქალის თაობაზე. მისგან საკანონოს გადახდის შემდეგ, შეგეძლება მიათხოვო იგი სხვას, რომელთანაც არ ექ-

---

თი ღვდელი, ალბათ, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი იყო სურვილი ნათლიისა და, ან ბავშის მშობლებისა. შემდეგ, ალბათ, ნათესავობის დასამყარებლათ, ან გასაძლიერებლათ მირონცხება შემოვიდა დიდებშორისაც. ამას ადასტურებს ზემო დასახელებული შემთხვევა (ქარ. ცხ. II, 218) და მეორე მაგალითიც, როდესაც დარეჯან-დედოფალმა ცხო მირონი ხოსია ლასხიშვილს (16. 204).

ნება ნათესავური კავშირი 70). ამ დადგენილებას ეწინააღმდეგებოდა გენ. ტორმასოვი და მთავრინა ნინო გიორგის ასულისგან თხოულობდა, რო სისრულეში არ მოეყვანა ის და არ წაერთმია ტატო გელოვანისთვის ცოლი 71).

აი, როგორ მედგრათ იცავდენ საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდელო კრებული საეკლესიო დადგენილებებს, სარწმუნოების სიწმიდეს თვით იმ დროს, როდესაც მამადიანები ბატონობდნენ საქართველოში. ცხადია, საქართველოს ეკლესია არ წამრმოადგენდა ლეშს, რომელიც ხორწმნებოდა,—არ წაგავდა ავაზაკთაგან დაწყლულებულს, რომელსაც ვითომ მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს გამოუჩდა მოწყალე სამარიტელი. არა. ეკლესია იყო ცოცხალი, მთელი და მტკიცე ორგანიზმი,—მტკიცე დამცველი სარწმუნოებისა, ზნეობისა და თავის დადგენილებათა. მაშინ არ შეიძლებოდა ადგილი ქონებოდა ბარნაბისებურ საქციელს, რ—ნისთანა პირების გავლენას საეკლესიო საქმეებზე, როგორც ამას ახლა ხედავთ. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში-კი თანდათან დაეცა სარწმუნოება; ეკლესია საქართლოში, ტორმასოვებისთანების მეოხებით, მართლაც დაემსგავსა ავაზაკთაგან დაწყლულებულს. მარა მოწყალე სამარიტელელი არსაიდან ჩანს ჯერჯეროობით, რათგან მმართველი ეკლესიის მდგომარეობაც უნუგეშოა მეტად.

ამბერი.

შენიშვნები.*)

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(ოხზულებანი ეპ. ლეონიდისა, ზარეული ტომი, გამოც. 1914 წ.)

წყარო, თავის სადენ ადგილებში, თუ ამღვრეულ—აშმორებულია, ამ ადგილებში, ცთა მისი გაწმენდა-გასუფთავებისთვის უბრალო შრომის დაკარგვა იქნება. ამ შემთხვევაში კაცი სათავეში უნდა წავიდეს, გაწმინდოს, გაასუფთავოს მისი გამოსავალი ადგილი, თუ სურს თელ თავის სადენ მანძილზე, წყარო წმინდა იქნეს, სასიამოვნო და მარგებელიც. თუ სათავეში გველეშაპის დამპალ-აყროლებული ლეში გდია, როგორ შეიძლება იქიდან მომდინარე წყაროს გზა-გზა გაწმენდა-გასუფთავება?!... თანამედროე ერი განგებ იხუჭავს თვალებს, არ დაინახოს სათავეში აყროლებული ლეში და იქიდან მომდინარე წყაროს-კი უხვდება აქა-იქ, რო გაწმინდოს, გემოვნება შეუცვალოს. მარა შრომა, როგორც მოსალოდნელია, უნაყოფოთ იკარგება.

„ოთარაანთ ქვრივში“ გიორგი მეტათ ახოვანი გმირია. ის ღირსათაც არა თვლის არამზადა „მოჯამაგირეს“ ხელით, ან დაძახებით გააღვიძოს ეს სინიდისის მტერი. კრავს ფეხს, აღვიძებს და უკითხავს ზნეობრივ ლექციას... მარა ურცხვს, უგულო და სინიდისიდან გამოფიტულ მოჯამაგირეს ეს არ ესმის და არა თუ არ ეგონებს გიორგის რჩევას, ბრიყვათაც თვლის მას ასეთი სოფლმხედველობისთვის. მაშინვე მოთმინებიდან გამოსული გიორგი, შეყვირებს უდარდელ-უზრუნველ მოჯამაგირეს:—„აი, შე უნამუსო! აქაო და არავინ მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენ ღმერთს რაღას ეუბნები!...“ აქიდან ცხადია, გიორგისთან მოჯამაგირე პირუტყვათაც არ დაფასდება, ვინაიდან პირველს წამს ღმერთი, სინიდისი, რასაც ის ადამიანობის ხარისხამდის აყავს, ხოლო მეორეს დაკარგვია რწმენა, როგორც ღვთისა, ისე სინიდისისაც, რასაც ის პირუტყვის მდგომარეობამდი დაუყვანია: ის ქურდია, ავაზაკია, თუ ზედამხედველი არა ყავს; თუ დაიბროყვა, ზედამხედველსაც ხელსა და თვალ შვა მოატყუებს...„აქ ღმერთი რა მოსატანია, იწამოს კაცმა სინიდისი, რაც მოჯამაგირეს არ ქონია და ის ეყოფაო,“—იტყვიან. იტყვიან და ამბობენ კიდეც და მიტომაც არი, რო „მოჯამაგირეებით“ გაივსო ქვეყანა! მოჯამაგირეს სინიდისი ქონდა, ხოლოთ არა

---

*) იხ. „ცხოვრება“ № 9.

70) ამ წერილს ხელს აწერენ: ჭყონდიდელი ბესარიონი, Ააიშელი გრიგოლი, Ააგარელი იოანე და მიტროპოლიტი ანტონი, ყოფილი ჭყონდიდელი. (Археогр. Акты IV, 400—41.)

71) Ibid. 401—402. საღვდელოების ამნაირი ხალხის საკეთილდღეოთ მოღვაწეობის და ეკლესიის დადგენილობათა დაცვის ბაგალითები შეგვეძლო ბევრი მოგვეტანა. მარა ახლა—ამ მოკლე წერილში—ესეც საკმარისათ მიგვაჩნია. ავტორი,

ღვთიური. მის უღმრთო სინიდისს კარგათ ესმოდა, რო კამეჩები ტყეში გაიპარებოდენ და, მერე, „იმათი ძებნაში სული უნდა ამორთმეოდა.“ მისი უღმრთო სინიდისი მისი ტყავისთვის ზრუნავდა და არა კამეჩებისთვის, არც კამეჩების პატრონისთვის, რომელსაც ყალბი მოჯამაგირისთვის შრომის სასყიდელი უნდა მიეცა. წამებოდა მოჯამაგირეს ღმერთი—სინდისის უხილავი ზედამხედველი, ის კამეჩებს და მის პატრონსაც დაინდობდა... უღმრთო—„სინიდისიანი“ კაცი ყოველთვის საკუთარი თავისთვის ზრუნავს. მარა, ვინც სხვას ატყუებს, არ ინდობს, ის თავის—თავსაც ატყუებს, ვერც, იმას დაინდობს...

გიორგის და მოჯამაგირის ფიზინომის უფრო ნაკვთად წარმოსადგენათ მარტო ეს ადგილი არა კმარა.—როცა მოჯამაგირე მიშოლტა გიორგიმ და თქვენგან მოწონებულათაც დააგუნდავა ურცხვი მზაკვრობისთვის, მოჯამაგირემ შეჩივლა, როგორც მოგვითხრობს ავტორი, თავის პატრონს—აღას, გავლენიან ომარაშვილს.

– „რათა გცემაო?—კითხა ომარაშვილმა.

— მაგდენს რათ უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!... ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხო მაგდენს მოთხოვენო; ვთქვათ, შენ შეგიძლია, სხვა მაინც არ გეცოდებაო? მომდგა ამაზე და ჭიგო ზედ დამალეწა, შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო და ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოართმევს ადამიანსო.“

აქაც ერთი უსაძაგლესი მხარეთაგანი გამოჩდა მოჯამაგირისა: ის საზიზღარი ცრუც არის... უნდა ვიფიქროთ, რომ ის არავითარ სისაძაგლეს არ დაერიდება.

ომარაშვილმა მოჯამაგირე აჩივლა სოფლის სასამართლოში და, როგორც გავლენიანი, თითონაც წაექომაგა.

—„მოწმე გყავსო?— კითხეს მოჯამაგირეს.

— ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს თუ!—თქვა ვიღაცამ.

—მაგას-კი მართალს ამბობ,—თქვა ერთმა მოსამართლემ:

—ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.“

ესეც ერთი სადიდებელი მხარეთაგანი გიორგისა. მას დაურწმუნებია ხალხი, სამმართველოც, რო ტყუილს არ იტყვის, პირიანია... აქაც კოლოთაც არ მოჩანს გიორგისთან მოჯამაგირე.

რას შეუქნია ეს ერთი მეორის წინააღმდეგი ტიპი? ჩვენ რომ არ ვიცოდეთ გიორგის ოჯახი, არ ვიცნობდეთ იმის დედას—ოთარიანთ ქვრივს, რომელმაც აღზარდა გიორგი, რაღაც საიდუმლოებას, ზღაპრულ რაღაცებს შევაწერდით ამ გასხვავებას და ნამდვილ მიზეზს გამოურკვევლათ დავტოვებდით. მარა ვიცნობთ გიორგის ოჯახს და, რო სინამდვილე გამოვააშკარაოთ, არ შეიძლება არ შევიხედოთ იქ.—ეს, ერთი შეხედვით, ჩვენ გზას აგვაცთენს... მარა არა. მიზანი იყო ჩვეხი, გაგვერჩია ეპ. ლეონიდის მოძღვრება:—„ერი, რომელიც თვით შიშვლდება, თვით იხსნის წელიდან თავის სარტყელს, არყევს საკუთარი ზნეობის სამანს, თვით ანადგურებს თავის არსებობის ციხე—სიმაგრეებს, თაკილობს მას, რითაც ცნობილი იყო ქვეყანაზე, რაც მისი სულის ხასიათის ძვირფასი თვისებათ ითვლებოდა, უნდა, უსათუოდ, მოისპოს და გაქრეს. ეს აუცილებელი წესია ისტორიის.“– და ამის გარჩევის დროს, ბ. სიტყვას მეოხებით, სრულიათ მოულოდნელათ წავატყდით ორ ტიპს, ორივეს სოფლის გლეხის ოჯახიდან წარმოდგარს, ორივეს უსწავლელს, ორივეს მოჯამაგირეს (გიორგიც მოჯამაგირეთ გახთა შემდეგ, რაც სულ სხვა გარემოებამ გამოიწვია.) მარა ერთი-მეორის სრულიათ წინაამღდეგი ხასიათს და მიმართულებისას—კი, რომელთაც ჩვენი უძლურ კალამზე. გაცილებით უფრო ჭევრმეტყველურათ შეუძლიათ გაარჩიონ მქადაგებელის შეხედულობა. ამიტომ დამნაშაობაც იქნებოდა გვერდი აგვეხვია ასეთი სამაგალითო ადგილისთვის ილ. ჭავჭავაძის დიდი მადლიანი კალმის ნაწარმოებისა.

ოთხრობაში („ოთარაანთ ქვრივი“) ჩვენ ვხედავთ გაშიშვლებულს და სარტყელ შეხსნილს მოჯამაგირეს, რომელსაც შეურყევია

ზნეობის საგნები და გაუნადგურებია არსებობის ციხე—სიმაგრეები... რა მოელის მას? ადვილათ უნდა მივხვდეთ: **მოსპობა**... უნდა წარმოვიდგინოთ, ვინ არი თვით მოჯამაგირე, რო მისი მოდგმაზე უტყუარი აზრი ვიქონიოთ! ჯერ ის თვით რა არი, რო მისი ზეგავლენით აღზდილი მოდგმა რამე იქნეს! ყველასთვის ცხადია, რო სიავეც და სიკეთეც, მშობლების მიერ შეძენილი, მოდგმაზე გადიდებულათ და გაფართოვებულათ გადადის. ამ აზრის საფუძვლიანთ წარმომდგენელმა, არ შეიძლება „მოჯამაგირე“ მოსპობის გზაზე შემდგარათ არ დაინახოს... ავტორი მოთხრობისა არ გვეუბნება, თუ, რა ზნის, ხასიათის და მიმართულების ოჯახში აღიზარდა „მოჯამაგირე.“ მარა ცხადათ წარმოსადგენია, რომ აღმზდელი მოჯამაგირისა ოჯახი, უფრო—კი დედა, არც ერთი მხრით, მოჯამაგირეზე მაღლა არ იდგომებოდა. სხვა არ იყოს—რა, ამ დასკვნამდი დაგვიყვანს ჩვენ მაღალი აზრი: „ხე ნაყოფისგან იცნობაო“. ასეთი გატიტვლებულ—გაშიშვლებული ოჯახები და მოჯამაგირეები წარმოშობდენ თავისავე მზგავს მოდგმას, ხშირათ უფრო მდარესაც და საკვირველიც რათ იქნება, რომ ერი, აღმოცენებული ასეთი ნიადაგიდან, მოისპოს. ამას ხედავს და დატირის ყველა წინდახედული პირი... მარა მარტო ხედვა და ტირილ—წუწუნი ზნეობრივ სამოსელს არავის შეუკერავს!... მიეცით „მოჯამაგირეს“ სწავლა, სწავლა თვით უმაღლესიც... „მოჯამაგირეთვე“ დარჩება სულით, იმ განსხვავებით, რომ უფრო საშიში და მავნებელი გახთება... არა, კაცი მეორეთ უნდა დაიბადოს და ისიც პირველი დაბადების დღიდანვე; მხოლოთ, თუ პირველი დაბადება ბუნებრივია, მეორე უნდა იქნეს ხელოვნური და ეს უკანასკნელი უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე პირველი—ბუნებრივი, რასაც მხოლოთ გამრავლებითი მნიშვნელობა აქვს. მარა ვითარებითი ანგარიშს სრულიათაც არ იძლევა. მეორეთ დაბადება ქრისტემ ნათლისღების სახით დაგვიწერა. მარა ამით ისკი არ უთქვამს საუკუნო მოძღვარს, რო წყალი შეასხით ბავშვს, მირონი წაცხეთ და საქმეც გაჩარხული იქნებაო! ვისაც ეს ასე ესმის, ის სასტიკი კერპთმსახურია. ახლათ ნათელღებულს ჩვენ ვაცმევთ თეთრს, სპეტაკ ტანსაცმელს, რაც სიმბოლოა იმისა, რო ბავში უნდა შეიმოსოს სარწმუნოებრივ—ზნეობრივ სამკაულით... მეორე დედა, რომელმაც უნდა შვას ბავში, ბუნებრივათ შობილი დედისგან, არი სახარება, რომელზეც მეცნიერი კანტი ამბობს:—„შეიძლება თამამათ ვთქვათ, რო თუ არა სახარებას ესწავლებია ჩვენთვის საყოველთაო ზნეობრივი კანონები, მათი სრული სიწმიდით, გონებას ახლამდისაც არ ეცოდინებოდა ისინი ასეთი სისრულითო.“

შობილიყო „მოჯამაგირე“ მეორეთ, შეემოსა ოჯახს ის თეთრი სპეტაკი სამოსელით, ის გვერდში ამოუდგებოდა გიორკის... მარა, რაც ოჯახს არ მიუცია იმისთვის, ის მას ვერ მიუცია თვისი თავისთვის!... მაშ, რა შვაშია მოჯამაგირე? ის უმიზეზოთ შეუტუქსავს გიორგისო!—იბადება საკითხი.—მართალიცაა. რკინის ხასიათი უნდა ქონდეს კაცს, რო მის არსებაში ჩანერგილი და დაბადებიდან მასთან ერთად გაზდილი მანკიერი მიდრეკილება წარიკვეთოს, რაც ყველას არ მოეთხოვება...ჯერ თამარ მეფეს, ამ მაგნიტური ხასიათის მქონებელ გენიოსს, რომელსაც ლომიცკი ემორჩილებოდა, თურმე, ვერ განეკურნა ქმარი—ბოგოლიუბოვი ავი ზნისგან და სამუდამოთ დასამახსოვრებელი ბძნული სიტყვით გაეშვა: „მე არ ძალმიძს მრუდე ხის აჩდილის გასწორებაო.“ მართლაც, რომ ავი ზნე ბავშობიდან ჩანერგილი ადამიანის არსებაში, მრუდე ხის ჩდილია, რომელსაც ვერავითარი გენიალური მოხერხებით ვერ გაასწორებთ. ამის შეუძლებლობაზე ჩვენ შკოლებს უმართლოდ ემდურიან, თუმც არც ისინი იძლევიან ზნეობრივ სამკაულს.[1])

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება.)

---

[1]) მხოლოთ დაბადებით იდიოტები ვერ გაამართლებენ დედის შრომა—სურვილს, დანარჩენის ბედიღბალი დედის ხელშია: უნდა დარბაისელ მოქალაქეთ გახთის ბავშს, უნდა თუთიყუშ—კაჭკაჭათ და სვავ—ყორნათაც, ე.ი., იმათ, რაც თვით არის.

რედაქციისაგან.

ამ წლის სეკტემბრიდან დეკემბრამდი მაინც, თუ გარემოება არ შეიცვალა, ჟურნალი „ცხოვრება“ 32გვ. მაგიერათ გამოვა 24 გვერდი. მიზეზი უქაღალდობაა. მეტის მეტათ გაძვირდა ქაღალდი. 2 მან. 50კ. ერთი ოზმა ქაღალდის ფასი ახლა ქუთაისში, პეტრე გოკიელთან 12 მან. ღირს. ომიანობამ ყველაფერი საშინლათ გააძვირა და გამოცემისთვის სხვა ხარჯებიც გაძვირდა ხომ.

ჟურ. „ცხოვრება,“ გადიდებული ფორმატის რომ იყო, მაშინც ვერ იტევდა მრავალ მასალას, რომელიც დღეინდელ გართულებულ ცხოვრებას ეხება. ამიტომ რედაქცია უდიადეს გაჭივრებას განიცოის ჟურნალის დაპატარავებით

მეტი გზა არ არი. ჟურნალი **უშპონოთ** უნდა აიწყოს, რო შიგ მეტი მასალა ჩავტიოთ. მარა გასხვავება მაინც იქნება, და ეს გარემოება გვაწუხებს განათლებულ მკითხველთან ერთად.

ჟურნალს რო მეტი ფასი დავადვათ,-ამას კი გული არ გვიშობა. არა გვსურს მეტ ტვირთად დავაწვეთ ჩვენი პატივცემული მკითხველის ჯიბეს ამ გამწარებულ დროს. გაჭივრებამ ისევ ასეთი გზა აგვარჩევია... მარა ეს, რასაკვირველია, დროებითი ზომაა.

რუსული პრესა.

ამ საერთაშორისო ომმა ერთი დიდი ამბავი-კი ცხადყო. შორეულ აღმოსავლეთში გაძლიერდა ისედაც ძლევამოსილი იაპონია,

გერმანიამ რუსეთი ერთ დროს შორეულ აღმოსავლეთით დააინტერესა და, რაც ამას მოყვა, ხო ყველამ იცის...

იაპონიამ, სამაგიეროთ, თვის მიერ დამარცხებული მეტოქის ყურათღება ახლო აღმოსავლეთისკენ მიაპყრო და, აი, ახლა ხო შედეგებიც ჩანს.

ეს განსაკუთრებით აშკარაა ამჟამათ, როცა იაპონიაში სამხედრო პარტიამ გაიმარჯვა და პრემიერათ ბარონი ტერაუელი მიიწვიეს.

როგორ შეხვდა სამინისტროს ცვლილებას რუსული პრესა?

„ნოვოე ვრემია“ წერს:

,,ივლისის ხელშეკრულობას (რუსეთ—იაპონიის შორის) რამდენათ ამას გაზეთები გვატყობიებენ, აქვს დამატებითი მუხლები. ამ მუხლების ძალით იაპონიის ხელში გადადის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა კუაჩენცზიდან მდ. სუნგარამდი. გარდა ამისა, იაპონელთ ეძლევათ მდ. სუნგარზე ნავსნობის თანასწორი უფლება. დასასრულ, როგორც ამერიკული პრესა იუწყება, იაპონელთ ეძლევათ თანასწორივე უფლება რუსებთან შედარებით, ციმბირსა, მონგოლეთსა და მანჯურიაში იმოგზაურონ, დასახლდენ და აღებ-მიცემობა-წარმოებას ხელი მოკიდონ''.

ივლისის ხელშეკრულობის დამატებითი მუხლები ფრიად ხელსაყრელია შორეულ აღმოსავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოსთვის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იაპონია უფრო დაახლოვებულია ციმბირთან, ვიდრე რუსეთი.

,,იაპონიის დიპლომატია კიდევ პორტსმუტში (რუსეთთან ზავის ჩამოგდებისას) ცთილობდა. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის ქ. ხარბინამდი ხელში ჩაგდებას. ფრიათ საყურათღებო მოტივებით ეს შტო ორ ნაწილათ გაყვეს. ამ გზით შესაძლებელი შეიქნა რუსეთისა და იაპონიის რკინის გზათა სამართლიანი თანამშრომლობა ჩინეთში და მავნე კონკურენციის თავიდან აცილება. ივლისის ხელშეკრულობის დამატებითი მუხლები, თუ ისინი სინამდვილეს შეიცავს, არსებითად ცვლიან შექნილ მდგომარეობას... ივლისის ხელშეკრულობის დამატებითი მუხლები მიმართული არიან იაპონელთა მოქმედების მეტის მეტათ გაფართოვებასთან იმ ადგილებში, რომელნიც წინათ რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ... აქ შესაძლებელია მოულოდნელი შეჯახება''.

ასეთ შეჯახებას მეტი საფუძველი აქვს, თუ სახეში ვიქონიებთ სამხედრო პარტიის გაძლიერებას იაპონიაში.

აგარაკი ბახმარო.*)

(დასასრული.)

ბახმარო საგარაკო ადგილათ უცვნია 25 წ. წინათ ვინმე დავიდიანცს, რომელიც ოზურგეთის მაზრის მკურნალათ ითვლებოდა იმ დროს. დავიდიანცი ავათმყოფობის გამოისობით იძულებული ყოფილა აჭარის მთებში ეძებნა ფილტვებისთვის მოსახდენი ჰავა. დიდი მეცადინობის შემდეგ, ასეთისთვის კიდეც მიუგნია, როგორც მდებარეობით, ისე შეზავებული ჰაერითაც.

უძველეს დროიდან ბახმარო კარგ სამწყესურ ადგილათ ითვლებოდა და აქ ზაფხულობით იყრიდენ თავს ყოველი მხრიდან მწყესები. დღესაც ბახმაროს გარშემო ბლომათ არიან მწყესები. მწყესთა შორის აჭარლები ყველაზე უკეთ ცხოვრობენ, როგორც ეკანომიურათ, ისე მოწყობილობითაც. ბახმარო ოზურგეთის მაზრას ეკუთვნის და ამ ქალაქიდან დაშორებულია 35—40 ვერსით. იგი ოთხი მთის კალთებ შორის ჩაფენილ ვაკეში არი მომწყვდეული.

ზღვის ზედაპირს აშორებულია 6.400 ფუტით. მთის ჰაერი ზღვის სიახლოვის გამო, მეტათ შეზავებულია და მარგებელი სუსტ ფილტვებიან ავათმყოფთათვის, ციებ-ცხელებით შეპყრობილთათვის და სხვა. სეზონი აქ იწყება 20 ივანობისთვიდან და 10 მარიამობისთვეში წყდება.

აგარაკის სახელის დარქმევას შემდეგი ლეგენდარულ გადმოცემით ხნიან, ერთ გურიის ბატონიშვილისთვის, მთებით მიმავალს, ავაზაკებს ცოლი მოუტაცნიათ. ბატონი თავის ყმებით დადევნებია ავაზაკებს. მარა ვერას გამხდარა. ბოლოს, ერთ მიდრეკილ ადგილზე, დასვენების დროს, დაღონებულ ბატონს უკითხავს ერთ ნაცნობ თათრისთვის, რომელიც იქვე საქონელს აძოვებდა:

— ხომ არ გინახავს ჩემი ცოლი, ან ხომ არ იცი, საით დაიკარგაო? მწყესს, იქვე მდებარე ტყისკენ მიუთითებია და უთქვამს:

ბახ! — მარო! ე. ი., აი, საით დაიკარგა შენი ცოლი—მარო. რათგანც ამ მიდვრის იქით ცოცა გზა და კვალის ძებნისა უნაყოფო იყო, ამიტომაც, ამ მიდრეკილ ადგილს დაარქვეს სახელათ „ბახ—მარო.“ უეჭველათ, ასეთ ლეგენდარულ გადმოცემას რაიმე ისტორიული საფუძველი აქვს და, ამიტომაც, ეს ლეგენდა ჯერ-ჯერობით კიდევ არსებობს.

ბახმაროზე 210 სახლია. სახლები ყველა ხის არი და აგებულია სოფლური შენობის მიხედვით. თითქმის ყველა სახლები უბუხროა. სახლების უმეტესობა მაღალ საძირკველზე არი დადგმული და, ამიტომაც, მეპატრონების ამოსვლამდი, ავდრიან დღეებში, მწყესები ასცთ სახლების ქვეშ, საქონლისთვის თავშესაფარს პოულობენ. შენობები ნამეტანი უხეიროა და მასთან ოთახების კედლებში, იატაკებზე, ჭერებში იმდენი ჭვრიტიმალები არი, რო „სარკმელათ“ გამოდგება. სიცივების და ქარის დროს, გამკრავი სიოს თარეში იქ ხო შეუჩერებელია.

ბახმაროზე სახლების აშენება უგეგმოთ წარმოობს და არც ქუჩების გაყვანისთვის არსებობს რაიმე წესი. 1911 წ. მთავრობას ბახმაროს გეგმაც შეუმუშავებია (აუღია) და, იმის მიხედვით, იყიდება ახლა მიწები. მარა გაკეთება და აშენება რამესი-კი უთვალყურროთ არი მიტოვებული. ეს ერთათ-ერთი იმ აგარაკთანია, რომელზეც ჩვენებური ზნე და ჩვეულებანი არი გამეფებული და სრულიათ ქართველების ხელშია. აქ მოაგარაკეთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობს. წრეულს აქ იყო 3000-ზე მეტი მოაგარაკე.

ბახმაროს გარშემო მდებარე მთის კალთები ნაძვნარით არი დაფარული და აგარაკის ჰაერს ეს ხეები დიდ, მდიდარ ღირებულებას აძლევენ. მარა ტყეს ჩეხენ, ტიალდება იგი თითქმის. ახლო-მახლო სრულებითაც არ არი ქორფა ხეები...

ბახმაროს მთებს შორის არი მომწყვდე-

*) იხ. „ცხოვრება,“ № 13.

ული და ამ მთებში განსაკუთრებულ ყურადღებას ორი მთა იპყრობს: „ფიქრის მთა“ და „გადრეკილი“

ფიქრის მთა ბახმაროს ჩდილოეთით ძევს და საუცხოო მდებარეობა აქვს. აგარაკს მოშორებულია 1000 ფუტით. აქ ადიან განსაკუთრებით იმიტო, რო გადაავლონ თვალი თელ ქუთაისის გუბერნიას და, მართლაც, ამ მთიდან იმერეთი, გურია-სამეგრელო, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანს. მდინარეები მდიდარ ვაკეებში თეთრ ზოლებათ გაწოლილან. დახნილი და დამუშავებული ბარიც ობლათ გამოიყურება, ვერსათ ვერ ამჩნევთ იქ მოძრაობას, სიცოცხლეს, თითქოს სრულიათ მყუდროება იყოს იქ გამეფებული. ყოველგვარი ხმაურობას მოწყვეტილი, ასეთ ალაგას, სადაც ფრინველიც—კი არ არღვევს ბუნების იდუმალებას, ადამიანი, მარტოობას გძნობ, მწუხარებით გული იტანჯება და ძალა უნებურათ ეძლევი ათასნაირ ფიქრს...

ფიქრის მთაზე ადამიანი ფიქრთა სიმწვავის მორევში, თუ ვარდები, სამაგიეროთ, „გადრეკილზე“ პოეტურ სიამოვნების სიძლიერეს განიცთი. ეს მთა აღმოსავლეთის მხრით მდებარეობს და ბახმაროს აშორებულია 1000 ფუტით.

შვა ღამე იქნებოდა, ჩვენ რომ ამ მთაზე წავედით ასასვლელათ. ნელი ნაბიჯით იქ ახვალთ 3—4 საათში, რათგან, ჰაერის სითხელის გამო, ჩქარი ნაბიჯით სიარული შეუძლებელია და თანც აღმართზე. ასასვლელი გზა არ არსებობს და ჩვენ გავყევით საქონლის ნასიარულებ ბილიკებს და დიდი ვაი-ვაგლახით ავედით მთაზე. მზის ამოსვლამდი, თითქმის ერთი საათი იყო. დილის ცივი ნიავი ქროდა. სიცივე საგძნობი იყო. თფილათ პალტო-ნაბადებში გავეხვიეთ, დავსხედით მთის ქოჩორზე და მოუთმენლათ ველოდით დიადი მნათობის ამოსვლის ნიშნებს.

უცეფ, ნიავს საიდანღაც ნისლი მოყვა, რაც ხშირათ იცის მთაში, ის ნაძვნარში შემოფანტა, ხეებს შემოეხვია, მთის კალთები დაბურა და ჩვენ ნისლში დავიმალეთ,—კიდევ წამი და ცის კაბადონს სქელ ფარდათ ღრუბელი ჩამოეფარა. მეტათ დავღონდით... გაჭივრებით ამოსული გზის შრომას უნაყოფოთ უნდა ჩაევლო. მარა ნისლმა ნახევარი საათი გასტანა. ნიავმა თან წაიყოლია ნისლი ვაკისკენ და მთაზე მოიწმინდა... სიხარული დაუსრულებელი იყო და ახლა ყველა კმაყოფილათ გძნობდა თავს. ვარსკვლავებმა ნელ-ნელა იწყეს დნობა, ქრობა და, ბოლოს, თავის მომხიბვლელი სიშვენიერეც დაკარგეს. თვარე სრულიათ გაფითრდა და თითქოს შეუმჩნევლათ სურდა მიმალვა. მთაზე სრული მყუდროება გამეფთა... ირაჟრაჟა. მზემ იწყო ამოსვლა... ის უჩინარი იყო და შორიდან უგზავნიდა დედა-მიწას მკრთალ სხივებს, თითქოს ხელებს შლიდა და საამბოროთ ეალერსებოდა მის სილამაზეს... მერე, ორიზონტი მორწყო წითელი ზოლებით; იისფერ ცის თაღზე აქა-იქ მიმობნეული ღრუბლების თეთრი გულულები შეაფოროჯა და დიდებულათ, მეფურათ ამოცურდა ცის სივრცეში. გადმოხედა დედამიწას და თითქოს სიცილით დაუწყო ყურება მის ცვალებადობას და განაგძო ჩვეულებრივი გზა თავის მსვლელობისა. ჰაერი-კი რაღაც უხილავი ძალით იყო აღსავსე. ნეტარებას განვიცთიდით ნახულით და დიდი მადლიერი ვიყავით სამშობლო კუთხის ბუნების სიდიადისა და შვენიერების...

ოცნებიდან ისევ სინამდვილეს უნდა დავბრუნებოდით და ჩვენ აგარაკისკენ წამოვედით.

მართალია, დიდებულია აგარაკის მდებარეობა და ბუნების სიშვენიერე. მარა მისი სანიტარიული მდებარეობა მეტათ ცუდია.

რათგანც ბახმარო მთავრობის მიერ აგა-

რაკათ ჯერ არ არი დამტკიცებული და არ ემორჩილება სანიტარულ—პოლიციურ წესდებებს, ერთის მხრით და, მეორეს მხრით, სატყისმფლობელო მართველობაც ბახმაროს მიდამოებს სამწყესურათ აქირავებს. ამიტომაც, აქ რამე გადაჭრილი ზომების მიღება სისუფთავის დასაცავათ, შეუძლებელი შეიქნა. მოაგარაკენი ნამეტანი გაჭივრებულ მდგომარეობაში ვარდებიან იქ ასვლისას და, ამიტომაც, აქ არსებულმა მომხმარებელ საზოგადოების „ტანმთელობის“ გამგეობამ იდვა თავს აგარაკის პატრონობა. გამგეობის მიზანია: აგარაკის უზრუნველყოფა სანოვაგის მხრით, მისი სანიტარული პირობების გაუმჯობესობა, საჭირო კულტურული დაწესებულების გახსნა, მოწესრიგება და საჭიროებისამებ, თხოვნების აღძრა, ამა-თუ-იმ საქმეზე, მთავრობის წინაშე. საზოგადოების წევრათ შეუძლია ჩაეწეროს ყველა მოაგარაკე, და იმავე დროს, უფლებაც აქვს, რო მხურვალე მონაწილობა მიიღოს აგარაკის მართვა-გამგეობაში. მიუხედავათ იმისა, რომ ეს საზოგადოება არსებობს 15 წ. მეტია, აქ არსებითაც ძალიან ცოტა რამ არი გაკეთებული და, რაც გაკეთებულა, ისიც უვარგისია. აგარაკზე მთავრობის მიერ იგზავნება ბოქაული, რამდენიმე სტრაჟნიკით და „ტანმთელობის“ გამგეობა, რათგანც დროებით ადმინისტრაციის როლსაც ასრულებს. ამიტომაც, პოლიციის დახმარებით, ზოგადი პალიატივური ზომებს ღებულობს აგარაკზე უცილებელ წესრიგის დასაცავათ. ერთათ ერთი ბედნიერება აქ, სისუფთავის მხრით, ის არი, რომ ოთახებში არ არი ბაღლინჯო—რწყილები და თავშესაფარსაც ვერ პოულობენ, რათგან სუსხიანი ზამთარი, საგანგებოთ ამოყვანილ თითოროლა მწყესებს, ხოცავს და შემდეგი ზაფხულისთვის, ამ მხრივ, სისუფთავე უზრუნველ ყოფილია.

აქ არის აფთიაქი. მარა იმდენათ ურიგოთ და უსუფთაოთ მოწყობილი აფთიაქია, რო მასზე ლაპარაკი სირცხვილათ მიმაჩია. წარმოიდგინეთ, რომ ასეთ ალაგას, სადაც რამდენიმე მკურნალი და ფერშალიც არი, სადაც აუარებელი ავათმყოფი იყრის თავს, აფთიაქს მართველობს, ვიღაც „დროებით სამხედრო ცხენების მეთვალყურე,“ რომელსაც ფარმაციის არაფერი გაეგება. „ტანმთელობის“ გამგეობამ და მკურნალმა ავთანდილ ინგოროყვამ ბევრი ეცადეს, რო როგორმე ეს აფთიაქი ასეთ უნუგეშო მდგომარეობიდან გამოეყვანათ. მარა ჯერ-ჯერობით ცთამ უნაყოფოთ ჩაიარა.

ამ რიგათ, ჩინებული საგარკო ადგილი—ბახმარო, თითქმის, როგორც სხვა ჩვენი აგარაკები, უთვალყურობის გამო, უნუგეშო მდგომარეობაშია.

ვასო ჭითავა.

ბახმარო. 30 ივლისი.

ესკიზი!

(ვუძღვნი ხუტუ მატა-ხელიას)

I

საამურ გაზაფხულის ღამეში ვარსკვლავთ კრებული ფერხულს უვლიდა კაშკაშა თვარეს. ცის უფსკრული აციმციმებულ სხივთა ქსელში ტოკავდა. თოვლივით თეთრი ღრუბელთა თაღები თვარის სხივებით დასერილი უგზო-უკვლოთ დაფორიაქობდენ ჰაეროვან ეთერში.

საკმეველათ ანაკმევი წყნარი სიმღერა არხევდა ცის შორეულ, განუჭვრეტელ ჯურღმულს. ამწვანებული ტყე დიდი მორცხვობით აღსავსე ფსალმუნებს თხზავდა და ისმოდა მასში შვენიერი და გულის წარმტაცი ჭანგი. ასავარცხლებულ მთათა მწვერვალებიდან დაბლა, სულ დაბლა ეშვებოდა შემოღამების დაღლილი ნისლი და ალერსიანათ ეფინებოდა არე-მარეს მიყვარხარ. თამრო! სულის თთოლვით ამბო-

ბდა ახალგაზდა ჭაბუკი. ეს ხმა გულის სიღრმიდან ამომსკდარი იკარგებოდა ტყის ფოთოლთა შმაგ ღრიანცელში. ნიყვარხარ! დაკოდილ გულის კვნესასავით სრიალებდა ეს ხმა მოკამკამე ტბის სივრცეზეც... დიდხანს, სულ დიდხანს ღაღადებდა ის და ამ ღაღადში ისმოდა გულდამწვარის ვედრება. ვედრება წრფელი, დიდი წარმტაცი და ცათ ამყვანი.

სიცოცხლეს შენ შამოვწირავ, ოღონდ გიყვარდე...

სული ჩემი შენში დაეძებს სიცოცხლის მიზანს.

ცხოვრების ზღვაზე იალქნებ სხვრეული გემით დავეხეტებოდი და დაგეძებდი შენ. სული ჩემი დიდხანს გეძახოდა ტალღათ შმაგ გრიგალში და, აი, ახლა გიპოვნა კიდეც, ჩემო სიცოცხლევ! ვდგავარ შენ წინაშე და შამოგვედრი. ისე, ვით მომაკვდავი უხილავ სიკვდილის ელჩს. შეისმინე ვედრება ჩემი და... ნუ დამაგდებ.. ნუ დამაობლებ. მახვილით გავიპობ გულს და იქ დავასვენებ სალოცავ ხატათ შენ სახეს... ხომ გესმის? ყველაფერს აგისრულეფ, მხოლოთ გიყვარდე...

წავიდეთ იქ, სადაც მართლ-მორწმუნენი წმიდა ტაძარში წრფელ ცრემლებსა ღვრიან.

წავიდეთ იქ, სადაც ყვავილნარობს თავისუფლება და სიყვარული...

წავიდეთ...

შესაძლებელია, ცხოვრების უთანასწორო გზაზე ბედმა მიმუხთლოს და სასიკვდილოთაც დავეცე ძირს. მარა იქაც, იმ წუთშიაც, უკანასკნელ ამოხვრის დროსაც, შენი სახელი იქნება განმეორებული ჩემ ბაგეთაგან....

გულის სიღრმეში შენთვის ავაყვავილე ყვავილები და უდრიოთ ნუ ჩააჭკნობ, ნუ!

ისინი შენთვის ყვავილობენ. რომ უცხო თაიგულათ შამოგეწნან ყელს, თამრო! ნუ მაწვალებ, მითხარი, ხო გიყვარვარ?

ასე ეეედრებოდა ჭაბუკი იგი უშვენიერეს ასულს — კოლხეთისას...

ასული—კი დუმდა და ეს დუმილი იყო წარმტაცი და შვენიერი, ვით ედემის ყვავილნარობა. იმისი მდიდარი თვალთა ცქერა იყო ციალი სხივთა შადრევანისა. სიმორცხვე—კი იასამანის თავდახრილ ტოტებისა.

დუმდა იგი დიდხანს, სულ დიდხანს და ამ დუმილში ფეთქდა მკერდი მისი, ვით ტალღები გიჟმაჟი ზღვისა.

მიყვარხარ, ლევან! დუმილით რეკდა მის გულის სიღრმეში თთოლვარე ზარი.... მიყვარს ლევანი! დუმილით ეუნებოდა ის ბადრ თვარეს. მარა, აჰა, შეირხა სამრეკლოს თაღიც და გასაგონი ხმით წარმოთქვა: მიყვარხარ, ლევან!..

ეს ხმა სწრაფ წარიტაცეს ტყის მოშრიალე ფოთლებმა და დიდხანს, სულ დიდხანს კძალვით და სასოებით იმეორებდა ტყის ჯურღმული ამ—სიტყვას...

ლევან! წავიდეთ, სადაც გსურდეს... მე შენ ყველგან წაგყვები, ყველგან- თელი ჩემი არსებით შენ გეკუთვნი, მხოლოთ შენ ერთს...

სიზმარშიაც შენისახე მედგა თვალ წინ... შენით ვსულდგმულობდი და შენით ვსულდგმულობ ახლაც. შენ ხარ ჩემი მანათობელი ბედის ვარსკვლავი...

დიდხანს დავატარებდი შენ სიყვარულს გულში. ის წვავდა და დაგავდა იდუმალათ ჩემს სულს და შენ—კი შორს იყავ ამ დროს... ახლა—კი ჩემს ახლოს გხედავ, ჩემო სიცოცხლეო.

წავიდეთ... მე ვერ შემაშინებს ეკლიანი გზა ცხოვრებისა. მე მიყვარს ტანჯვა და მიყვარხარ შენ! ტანჯვა ხო სიცოცხლეა და სიყვარულიც ხო იგივეა?¡.

ლევან! ნუ მტანჯავ, მომიახლოვდი... ტყე დუმდა...

მდუმარე ტბის სივრცეზე უძრავათ იდგა თვარის სხივებით აშენებული ოქროს ნავი.

ამწვანებული ფოთლები მდიდარი აბრეშუმის მსგავს შრიალში მარგალიტის ცრემლებსა ღვრიდენ. დიდი მიწყნარებული დუმილი სუფევდა ყველგან... მხოლოთ ამ დუმილში ისმოდა შეყვარებულთა ცეცხლივით მწველი კოცნის ხმა...

თვარე, ცის ფერდოზე შემდგარი, დასავლეთისკენ ეშვებოდა... განთიადი ახლოვდებოდა.. და ისინიც გაშორდენ ერთმანეთს....

ნ. ზენობნიელი.

(შემდეგი იქნება,)

რედაქციამ მიიღო ანგარიში

ქართულ საქვ. საზ. მოქმედებისა 1915 წ. ჩვენ, უადგილობის გამო, ამდენხანს ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ამ დიდათ საყურათღებო ახალ ქართულ დაწესებულობაზე. ვეცთებით მკითხველს გავაცნოთ იგი ამ ახლო ხანებში.

რედაკტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქ., სახლი გოკიელისა.

სალიტერატურო კონკურსი

სიტყვა კაზმულ ნაწარმოებზე.

ვაცხადებ **სალიტერატურო კონკურსს** საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებზე.

ფულის პრემია 50 ანათი.

1) კონკურსში მონაწილობა შეუძლია მიიღოს ყველამ.

2) ნაწარმოები უნდა იყვეს ორიგინალური და დაუბეჭდავი.

3) ნაწარმოები თავის ზომით არ უნდა ჰარბობდეს ერთ საბეჭდ. ფურცელს (16 გვ.) და არ უნდა იყვეს ნაკლები ფურცელის მეოთხედისა (4 გვ.)

4) უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არი 30 ნოემბერი, 1916 წ.

5) დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში, საზოგადოების თანდასწრებით.

6) დაჯილდოების დღე 18 დეკემბერია.

7) დაჯილდოებული მოთხრობა ჟურნალ „**ცხოვრებაში**" დაისტამბება, ავტორის პორტრეთით და ბიოგრაფიული ცნობებით.

8) ჟიურის წევრები შედგებიან: გაზეთების „მეგობრის," „სამშობლოს" და „თანამედროვე აზრის" რედაქციების წარმომადგენლებიდან (თითო პიროვნება) და ერთს მე ვნიშნავ.

9) ჟიურის წევრები მონაწილობას კონკურსში ვერ მიიღებენ.

10) არჩეულ პირებს ნება აქვთ მოიწვიონ კიდევ ორი წევრი, თუმც საჭიროთ დაინახავენ.

11) საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „მეგობრის" რედაქციის მისამართით, ჩემ სახელობაზე, რომელსაც ზევიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. ნაწარმოები ხელ მოუწერელი უნდა იყოს. მეორე კონვერტში იქნება აღნიშნული ავტორის ვინაობა, მხოლოთ კონვერტზე საკონკურსო ნაწარმოების დევიზი უნდა იქნას წარწერილი.

12) ვინც საკონკურსო პირობებს დაარღვევს, მისი ნაწარმოები გაურჩეველი დარჩება.

ვასო ჭითავა

ქ. ქუთაისი.

P. S. ვთხოვ, სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განცხადება.

ვ. ჭ.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელსა

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე"

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით. ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა"), ისიდორე კვიცარიძესთან. გორში—ალექსანდრე რამანიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ბათუმში—„განთიადის" კანტორაში, საჩხერეში—სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში—სანდრო ჭურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და პეტროგრადში—ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Цанцхава.